ბიბლიოთეკა
თბილისი
4394

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
18 მაისი
1940 წ.
№ 113 (5814)
ფასი 10 კაპ.

მივცეთ ქვეყანას 51.114 ტონა ჩაის ფოთოლი

საქართველოს სუბტროპიკული ზონის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მეტად სერიოზული გამოცდის წინაშე დგანან. მათ წელს უნდა მოჰკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 51.114 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 8.014 ათასი კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან გეგმით იყო გათვალისწინებული.

საერთო რაოდენობიდან 11.892 ათასი კილოგრამი, ანუ წლიური გეგმის 23 პროცენტზე მეტი მაისში უნდა მოიკრიფოს. 15 მაისისათვის კი აქედან მხოლოდ 1.553.800 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი იყო მოკრეფილი, რაც თვიური გეგმის 13 პროცენტს არ აღემატება. კერძოდ მახარაძის რაიონს, სადაც წელს 11.174.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა დამზადდეს, მაისის გეგმა ამავე რიცხვისათვის მხოლოდ 3,1 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, ბათუმის რაიონს—9,5 პროცენტით, ქობულეთის—6,2 პროცენტით, ჩხოროწყუს — 8,4 პროცენტით და ა. შ.

უკანასკნელ დღეებში ჩაის კრეფის ტემპები ნაწილობრივ გაიზარდა. მაგალითად, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა მაისის მესამე ხუთდღიურში 201.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი დაამზადეს, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე მაისის პირველ დეკადაში. ქობულეთისა და ბათუმის რაიონებმა, რომლებმაც ჩაის მასობრივი კრეფა უკვე დაიწყეს, მარტო 16 მაისს 76.620 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი დაამზადეს, თითქმის 50 პროცენტი იმისა, რაც მაისის პირველ ნახევარში, და სხვ. მაგრამ საერთოდ ჩაის კრეფისა და დამზადების ახლანდელი ტემპი ისეთია, რომ თუ იგი გადაჭრით არ გაძლიერდა, მაისის გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის.

წლევანდელმა დაგვიანებულმა გაზაფხულმა, მართალია, ნაწილობრივ გავლენა მოახდინა ჩაის ზრდა-განვითარებაზე, მაგრამ გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა მარტო ამით როდია გამოწვეული. საქართველოს სუბტროპიკული რაიონების ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს რომ უფრო მაგრად მოეკიდათ ხელი ჩაის კრეფის საქმისათვის, გეგმების შესრულებაში უთუოდ უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა. ავიღოთ თუნდაც წულუკიძის რაიონი. მართალია, ეს რაიონი სხვებთან შედარებით წინ მიდის, მაგრამ ყველა შესაძლებლობანი გეგმების შესასრულებლად აქაც არ არის გამოყენებული. რაიონის კოლმეურნეობებს 15 მაისისათვის ჩაის კრეფის თვიური გეგმა 16 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული. კოლმეურნეობის ზოგიერთი ხელმძღვანელი ცდილობს ეს ჩამორჩენა ამინდს დააბრალოს, რაც არ არის სწორი. იქ, სადაც სწორად იყენებენ ადგილობრივ შესაძლებლობებს, აწყობენ ჩაის დროულად კრეფას და მტკიცედ იცავენ აგროწესებს, გეგმაც სრულდება. ეს ითქმის უწინარეს ყოვლისა თვით წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობაზე, რომელსაც 15 მაისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის თვიური გეგმა 53,1 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა 13,3 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

მოწინავეთა ეს გამოცდილება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჩამორჩენის დაჩქარებით გამოსასწორებლად.

სეზონს ვერც ჩაის ფაბრიკები შეხვდნენ სავსებით მომზადებული. ჩაის ფოთლის დაგვიანებით შემოსვლა კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევდა ფაბრიკებს სანიმუშოდ მომზადებულიყვნენ, მაგრამ ეს საშუალებები ყველგან ვერ გამოიყენეს. ჩაის ფაბრიკების უმეტესობა ახლაც არ არის უზრუნველყოფილი „პაკრიშკებით“, ღუმელებისა და ძრავებისათვის საჭირო საწვავი მასალით. კიდევ მეტი: „საქჩაიმშენის“ კანტორას ჯერაც არ დაუმთავრებია მაღლაკის ჩაის ფაბრიკის მშენებლობა. ამის გამო წყალტუბოს რაიონიდან მოკრეფილ ჩაის ფოთოლს გადასამუშავებლად ლანჩხუთისა და წულუკიძის რაიონებში ეზიდებიან, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს პროდუქციის ხარისხზე.

ჩაის ფაბრიკების წესიერი და შეუფერხებელი მუშაობა ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მთავარი პირობაა. „საქჩაის“ და სუბტროპიკული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ვალია ჩაის ფაბრიკებს გაუწიონ ოპერატიული ხელმძღვანელობა და პრაქტიკულად დაეხმარონ მათ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, ყველა ტექნოლოგიური პროცესების დაცვით ნედლეულის გადამუშავებაში.

ჩაის უხვი მოსავალი თავისთავად არ მოვა, იგი უნდა მოვიყვანოთ. ჩაის კრეფის გეგმის შესრულებაში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მოაწყონ მოწინავეთა გამოცდილების ფართო დანერგვა, გააძლიერონ პლანტაციების მოვლა. ბუჩქების ზრდის დაჩქარებისათვის საჭიროა შემოღებულ იქნას პლანტაციების სისტემატური თოხნა და კულტივაცია. 1 ივნისამდე უნდა დამთავრდეს პლანტაციებში აზოტოვანი სასუქის მეორე დოზის შეტანა. რგოლური მუშაობის ფართოდ შემოღებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გაიწმინდოს ბუჩქები უხეში და დაზიანებული ფოთლებისაგან, არ დავუშვათ შემდეგში ფოთლის გაუხეშება და დავაწესოთ მტკიცე კონტროლი ჩაის დროულად კრეფაზე.

საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე, საანგარიშო მოხსენებაში ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანმა** დაგვისახა კონკრეტული ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად. საჭიროა ამ ღონისძიებათა გატარებისათვის ბრძოლის გაძლიერება. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებისა და საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ კრეფის ყოველთვიურ, ყოველდეკადურ და ყოველდღიურ გეგმებს ასრულებდეს თვითეული რაიონი, თვითეული საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, ბრიგადა, რგოლი და მკრეფავი.

ფართოდ გავშალოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრება, დაჩქარებით გამოვასწოროთ ჩამორჩენა ჩაის კრეფაში. მივცეთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს 51.114.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. გადაჭარბებით შევასრულოთ ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების 1940 წლის გეგმები.

შვეციის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარის ბ-ნ გ. ერიქსონის მიღება ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ

1940 წლის 16 მაისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო შვეციის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე, შვეციის მეურნეობის რეგულირების მინისტრი ბ-ნი გ. ერიქსონი.

მიღებას დაესწრო შვეციის ელჩი ბ-ნი ვ. ასარსონი.

ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ ცნობით, 15 მაისისათვის საქართველოში მოკრეფილი იყო 1543,8 ტონა ჩაის ფოთოლი, მაისის გეგმის 13 პროცენტი. (ანასეულის — მახარაძის რაიონი, წულუკიძის — წულუკიძის რაიონი, ჩხოროწყუს — ჩხოროწყუს რაიონი და მაღლაკის — წყალტუბოს, ქუთაისის და სამტრედიის რაიონები,—ჩაის ფაბრიკების ცნობები 10 მაისისაა).

გეგმების შესრულების მხრივ შედარებით წინ არიან: ტყიბულის (დავალება განაღდებული აქვს 31 პროც.), ქუთაისისა და წყალტუბოს (32 პროც.), გეგეჭკორის (27 პროცენტი), წალენჯიხის (26,2 პროც.) და სხვა რაიონები.

ჩაის კრეფის გეგმა მახარაძის რაიონში შესრულებულია 3,1 პროცენტით, ჩხოროწყუს რაიონში—8,4 პროცენტით, ქობულეთისაში—6,2 პროც., ბათუმისაში—9,5 პროც. და სხვ.

წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 15 მაისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა 53,1 პროცენტით შესრულა, წლიური კი—13,3 პროცენტით. ამავე რიცხვისათვის კოდორის საბჭოთა მეურნეობაში გეგმა შესრულებული იყო 25,9 პროცენტით, აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში—19,3 პროცენტით, წალენჯიხისაში—16,3-ით, ნარაზენისაში — 16,6-ით და ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობაში — 10,9 პროცენტით. ჯოლევჯიანის საბჭოთა მეურნეობას თვიური დავალება შესრულებული ჰქონდა 1,5 პროცენტით, ოჩხამურისას—1,7-ით, სალიბაურისას—4 პროცენტით.

მაისის პირველ ხუთდღიურში საბჭოთა მეურნეობებში მოიკრიფა 22,9 ტონა ჩაის ფოთოლი, მეორე ხუთდღიურში—90,5 და მესამეში—201,5 ტონა.

დაიწყო გლისერის მიმოსვლა სოჭასა და სოხუმს შორის

(სოხუმი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

17 მაისს გაიხსნა გლისერ-ექსპრესით მიმოსვლა სოჭასა და სოხუმს შორის. გლისერის პირველ რეისს ჩამოჰყვნენ საბჭოთა კავშირის გმირი ბაიდუკოვი და საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარი ამხ. ლიხაჩოვი, საბჭოთა ჟურნალისტები და მგზავრები. ბაიდუკოვმა და ლიხაჩოვმა დაათვალიერეს ქალაქი და საღამოს სოჭას გაემგზავრნენ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ივანოვოს სამრეწველო აკადემიისათვის მ. ვ. ფრუნზეს სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილებულ იქნას ივანოვოს საოლქო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თხოვნა და ივანოვოს სამრეწველო აკადემიას მიეკუთვნოს მ. ვ. ფრუნზეს სახელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი კრემლი, 1940 წლის 16 მაისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ილმენის სახელმწიფო ნაკრძალისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილებულ იქნას მიასის რაიონის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, აგრეთვე ჩელიაბინსკის ხელმძღვანელ საოლქო ორგანიზაციათა თხოვნა და ილმენის სახელმწიფო ნაკრძალს მიეკუთვნოს **ვ. ი. ლენინის** სახელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი კრემლი, 1940 წლის 16 მაისი.

იუგოსლავიის სამეურნეო დელეგაციის თავმჯდომარის ბ-ნ ჟორჯევიჩის დეპეშა

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის ამხ. ა. ი. მიქოიანისადმი

ტირასპოლი. **მოსკოვი.**

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის საზღვრებს, მოვალედ ვრაცხ თავს, იუგოსლავიის სამეურნეო დელეგაციის სახელით ულრმესი მადლობა მოგახსენოთ იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩვენ გაგვიწიეს, საბჭოთა მთავრობის ძვირფასი დახმარებისა და პირადად თქვენი ენერგიული მონაწილეობისათვის საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ მოლაპარაკებაში, რაც წარმატებით დამთავრდა.

მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობის დამყარება ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეს და მათი ხალხების კეთილდღეობას.

მილორად ჟორჯევიჩი, იუგოსლავიის სამეურნეო დელეგაციის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის ამხ. ა. ი. მიქოიანის დეპეშა იუგოსლავიის სამეურნეო დელეგაციის თავმჯდომარეს ბ-ნ ჟორჯევიჩს

იუგოსლავიის სამეურნეო დელეგაციის თავმჯდომარეს ბ-ნ ჟორჯევიჩს

ბელგრადი

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო თავმჯდომარევ, თქვენი მეგობრული მოსალმებისა და იმ გრძნობისათვის, რომელიც თქვენ გამოთქვით იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო შეთანხმების წარმატებით დადების გამო.

ა. მიქოიანი

ევკალიპტის ახალი სათბურების მშენებლობა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ — „საქართველოს სსრ ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვან კულტურების, მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ბოლშევიკების წინაშე დააყენა პასუხსაგები ამოცანა 1944 წლის დამლევისათვის ევკალიპტის ნარგავების რაოდენობა აიყვანონ 50 მილიონ ძირამდე.

ამ დადგენილების განხორციელებისათვის კოლხიდშენის ევკალიპტის სანერგემ დიდი მუშაობა გაშალა ახალი სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობის ხაზით.

შენდება 15 დიდი სათბური და 60 კვალსათბური. როცა ეს მშენებლობა დამთავრდება, სანერგეს საშუალება ექნება ყოველწლიურად 3 მილიონი ევკალიპტის ნერგი გაახაროს, ნაცვლად 2.200 ათასისა, რომელსაც ის ამჟამად ახარებს.

სანერგის მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად დაწყებულია 4 კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ ამხ. ა. ე. ზარნაძე განათავისუფლა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან. (საქდესი).

საარჩევნო კამპანია კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში

ამხანაგი ი. ბ. სტალინი რეგისტრირებულია

კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქ. პეტროზავოდსკის № 1 სანაპირო საარჩევნო ოლქიდან

პეტროზავოდსკი, 16 მაისი (საკდესი). გუშინ კარელ-ფინელმა ხალხმა მიიღო სასიხარულო ცნობა — ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

№ 1 სანაპირო საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში თავი მოიყარეს კომისიის წევრებმა და ონეგის ქარხნის, კიროვის რკინიგზის პეტროზავოდსკის კვანძის, თხილამურისა და ქარსის ფაბრიკების, სტამბისა და ქალაქის სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივების დელეგატებმა. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ხონკინი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში აცხადებს, რომ ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ პეტროზავოდსკის № 1 სანაპირო საარჩევნო ოლქში.

მღელვარე სიტყვებით გამოდიან ონეგის ქარხნის სამჭედლო საამქროს უფროსი ამხ. მასლენიკოვი, პეტროზავოდსკის დეპოს კრივონოსელი მემანქანე ამხ. ფედოროვი და სტამბის მუშა ამხ. კუკოვა. ისინი უამბობენ დამსწრეთ, თუ რა აღფრთოვანებით, რა სიყვარულით წამოაყენეს მათმა კოლექტივებმა კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად საბჭოთა ხალხის მამა და მეგობარი ამხანაგი სტალინი.

დელეგაციის წარმომადგენელთა გამოსვლის შემდეგ წინადადებისათვის სიტყვას იღებს საარჩევნო კომისიის წევრი ამხ. კორშლოვი. იგი მქუხარე ტაშის გრიალში წინადადებას იძლევა რეგისტრირებული იქნას კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი და შეტანილ იქნას მისი კანდიდატურა საარჩევნო ბიულეტენში ქ. პეტროზავოდსკის № 1 სანაპირო საარჩევნო ოლქში. კომისიამ ერთხმად დაადგინა „კარელიის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-52 მუხლის საფუძველზე კარელია-ფინეთის სსრ უმაღლეს საბჭოში კენჭისაყრელად ქ. პეტროზავოდსკის № 1 სანაპირო საარჩევნო ოლქიდან რეგისტრირებულ იქნას კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი,** დაბადებული 1879 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. მოსკოვში, კრემლში მცხოვრები, რომლის კანდიდატურა წამოაყენეს ონეგის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნის, ანოხინის სახელობის სტამბის, ქალაქის საბჭოს, სახელმწიფო ბანკის, კავშირგაბმულობის კანტორისა და სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრებებმა, რომლებსაც 2.759 კაცი დაესწრო.

„კარელიის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო დებულების“ მე-57 მუხლის საფუძველზე შეტანილ იქნას ამხანაგ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** კანდიდატურა ქალ. პეტროზავოდსკის სანაპირო № 1 საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენში.

ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი რეგისტრირებულია

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

კიაკისალმი (კექსჰოლმი), 17 მაისი (საკდესი). გუშინ შესდგა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კიაკისალმის (კექსჰოლმის) № 111 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულ იქნას **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი,** სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.

25 ათასიანი მიტინგი პეტროზავოდსკში

პეტროზავოდსკი, 16 მაისი (საკდესი). დღეს პეტროზავოდსკში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც შეიკრიბა 25 ათასი კაცი. ზღვა ხალხის თავზე მოჩანს ალისფერი ბაირაღები და დროშები, რომლებზედაც წარწერილია ლოზუნგები: „გაუმარჯოს კარელ-ფინელი ხალხის პირველ კანდიდატს, ამხანაგ სტალინს!“, „ხმა მიეცით კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს!“, „ხმა მიეცით ლენინ-სტალინის პარტიას!“, „ერთსულოვნად წავალთ საარჩევნო ყუთებისაკენ!“. კოლონებს მოაქვთ ასობით პორტრეტები ამხანაგ სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლებისა.

მიტინგზე რამდენიმე ორატორი გამოვიდა.

ფინურ ენაზე შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა დაწინაურებულმა მუშამ ილმარი პეუხკურმა.

უდიდესი სიხარულით შეეგება კარელ-ფინელი ხალხი, — ამბობს იგი, — ცნობას იმის შესახებ, რომ ჩვენმა მშობლიურმა და საყვარელმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე. ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის რესპუბლიკად გარდაქმნა.

კარელ-ფინელი ხალხი მთელ თავის ძალებს მოახმარებს იმას, რომ საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში გამოიყვანოს მე-12 მოკავშირე რესპუბლიკა.

დიდხანს არა სცხრება ოვაცია, როდესაც კითხულობენ მიმართვას ამხანაგ სტალინისადმი.

ერთი მილიონი დამთვალიერებელი ვ. ი. ლენინის მუზეუმის ფილიალში

ლენინგრადი, 16 მაისი (საკდესი). გუშინ შესრულდა მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის გახსნის მეოთხე წლისთავი. მუზეუმის ლენინგრადის ფილიალი გაიხსნა 1937 წლის 8 ნოემბერს. მას აქეთ დარბაზები, მუზეუმ-ბინები და ილიჩის ოთახები სმოლნში ერთმა მილიონმა მშრომელმა დაათვალიერა.

აქ ყოველდღიურად მოდის მრავალი დამთვალიერებელი — ექსკურსანტები და ცალკეული პირები. ყველანი, ყურადღებით ეცნობიან და სწავლობენ დოკუმენტებით, ფოტოსურათებით, და სხვა მასალით კაცობრიობის დიდი გენიოსის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

სამშობლოს სასახელოდ

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ბადალი არა ჰყავს თავისი გაქანებითა და გრანდიოზულობით.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილმა, მან სრული სიცხადით ასახა საბჭოთა კოლმეურნე გლეხობის უდიდესი მიღწევები. ეს მიღწევები იმის შედეგია, რომ გლეხობა გაჰყვა მუშათა კლასს, ბოლშევიკურ პარტიას და ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს,** დაადგა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გზას.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის ნიმუშებთან ერთად გამოფენამ გვიჩვენა, რა გიგანტურ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ ინდუსტრიალიზაციის დარგში. გამოფენის მნახველთა ასეთი განსაკუთრებული ყურადღება ტყუილად როდი მიიპყრო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პავილიონმა, რომელიც საუკეთესოა საუკეთესოთაგან.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა შესანიშნავია იმით, რომ მასში მონაწილეობას იღებენ მილიონობით ადამიანები—კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები.

გამოფენის საუკეთესო მონაწილეებს—სოფლის მეურნეობის მოწინავეებს — მიეცათ მთავრობის მაღალი ჯილდოები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის ეს მოწინავე ადამიანები ფართოდ გაავრცელებენ თავიანთი მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს, ხოლო ეს უზრუნველჰყოფს სოციალისტური სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო სწრაფ ზრდას.

მე აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, ყველა კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მისცემენ ქვეყანას პურსა და ხორცს, მატყლსა და ბამბას, ჩაისა და ხილს უფრო მეტს და უმაღლესი ხარისხისას.

მთელი სულითა და გულით ვუსურვებ ამხანაგ კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაკებს ბრწყინვალე წარმატებებს ამ სახელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში. ეს წარმატებები კიდევ უფრო აამაღლებენ ჩვენი ხალხის მატერიალურ და კულტურულ დონეს, კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი დიდი, საყვარელი სამშობლოს თავდაცვით ძლიერებას.

ი. დ. პაპანინი
ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი.

გაიხსნა აზერბაიჯანული ლიტერატურის დეკადა

მოსკოვის მწერალთა კლუბში 15 მაისს საღამოთი გაიხსნა აზერბაიჯანული ლიტერატურის დეკადა. დედაქალაქის მწერალთა საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა აზერბაიჯანის მწერლებს, აშუღებს, მსახიობებსა და მხატვრებს. მოკლე შესავალი სიტყვით მხურვალედ მიესალმა სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფადეევი სტუმრებს.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა ყურბან პრიმოვმა დიდის წარმატებით შეასრულა თარზე ხალხური სიმღერა „ჩობან-ბაიათი“, აშუღმა ქალმა ნაბათმა შეასრულა ლირიკული სიმღერა ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტის სამედ ვურგუნის ტექსტით. სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სურენ ქოჩარიანმა წაიკითხა რუსულ ენაზე პირველად თარგმნილი ნაწყვეტები დიდი აზერბაიჯანელი კლასიკოსის ნიზამის ნაწარმოებებიდან.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საკავშირო და საერთაშორისო კონკურსთა ლაურეატებმა იაკობ ფლიერმა და დავით ოისტრახმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ე. ა. სტეპანოვამ, რსფსრ სახალხო არტისტებმა კ. ნ. ელანსკაიამ, ე. ნ. გოგოლევამ და სხვ.

კონცერტი ნაშუაღამევამდე გაგრძელდა.

დეკადის მონაწილეთა პირველი საჯარო გამოსვლა მოხდება 17 მაისს მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. (საკდესი).

ასპირანტთა მომზადების ახალი წესი

15 მაისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა განიხილა უმაღლეს სასწავლებლების ასპირანტთა მომზადების საკითხი.

ამ უკანასკნელ წლებში ასპირანტურის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვის ზრდასთან ერთად მატულობს ასპირანტთა რიცხვიც. 1940 წლის 1 იანვრისათვის ასპირანტურაში 11.733 კაცი ირიცხებოდა. ამის გარდა, დაუსწრებლად სწავლობდა 731 ასპირანტი. 1939 წელს ასპირანტურა დაამთავრა და დისერტაცია დაიცვა 780 კაცმა — ორჯერ მეტმა, ვიდრე წინა წელს.

კომიტეტმა დაამტკიცა მთელი რიგი ღონისძიებანი ასპირანტთა მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, გადაწყდა — ასპირანტურაში მიღება წარმოებულ იქნას კონკურსის წესით. აკრძალულია ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს მიემაგროს ხუთზე მეტი ასპირანტი. აკრძალულია აგრეთვე სამეცნიერო ხელმძღვანელად ისეთი პირის დანიშვნა, რომელსაც არა აქვს პროფესორის წოდება ან მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

კონტროლის სავალდებულო ფორმად გადაწყვეტილია შემოღებულ იქნას სამეცნიერო ხელმძღვანელთა დავალებით ასპირანტთა მიერ დამზადებულ სამეცნიერო მოხსენებათა და რეფერატთა განხილვა კათედრებზე. (საკდესი).

გორი-სტალინირის რკინიგზის ლიანდაგის დაგების წინ

გაჩაღებულია მუშაობა გორი-სტალინირის ახალი რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე. ამ გზის მშენებლობის დროს საქართველოში პირველად იქნა გამოყენებული ფართო მასშტაბით სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის მშენებელთა მუშაობის მეთოდები. სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეთა ძალებით, რომელიც გზის ვაკისის მოწყობაზე მუშაობდნენ, შესრულებულია მიწის დიდი სამუშაო. ამჟამად მშენებლობაზე განაგრძობს მუშაობას სტალინირის, ზნაურის, ლენინგორისა და ჯავის რაიონის 2.500-მდე კოლმეურნე.

უახლოეს დღეებში დაიწყება ლიანდაგის დაგება. ლიანდაგის დაგებას დაიწყებენ გზის მე-7 კილომეტრიდან ორივე მიმართულებით — გორისა და სტალინირისაკენ. ლიანდაგის დაგების დროს ფართოდ იქნება გამოყენებული მექანიზაცია. უკვე მიღებულია პირველი ლიანდაგსაგები, მეორე ლიანდაგსაგები მიღებული იქნება უახლოეს დღეებში.

ძლიერდება მტკვრის დიდი ხიდის მშენებლობის ტემპები. კესონების ჩასაშვებად და მაღლების მოსაწყობად მუშაობა უკვე დამთავრებულია.

პირველი ორთქლმავალი გორიდან სტალინირში მივა 8 ივლისს — სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე. ამ დღეს ხაზზე გაშვებული იქნება მუშათა მატარებელი. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ომი დასავლეთ ევროპაში

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 16 მაისი. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ სედანის სექტორში, მდინარე მაასის გასწვრივ, გრძელდება გააფთრებული ბრძოლა. ახლა, სააგენტოს აზრით, ცხადი გახდა, რომ „გერმანელებმა ვერ შესძლეს გამოეყენებინათ ის უპირატესობა, რომელიც მათ ბრძოლის პირველი ორი დღის განმავლობაში თავიანთი სწრაფი წინსვლით მოიპოვეს“. გერმანიის დიდძალი ტანკების შემოტევის შედეგად საფრანგეთის არმიის ზოგიერთ ნაწილს მოწყვეტის საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ, როგორც ახლა გამოირკვა, ბრძოლის უაღრესად გააფთრებული ხასიათის მიუხედავად, საფრანგეთის ჯარი თავის პოზიციებს ინარჩუნებს; გერმანიის ჯარის წინსვლა შეჩერებულ იქნა მდინარე მაასის მეორე ნაპირზე.

გუშინ გათენებიდანვე ინგლისის ავიაგამანადგურებლები და ყუმბარმშენები ტყვიებს და ყუმბარებს უშენდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს და ჯარის იმ კოლონებს, რომელნიც მდინარე მაასის ხეობით მიემართებოდნენ. მოსპობილია პონტონის ხიდები და დანგრეულია მთელი რიგი გზები. გუშინდელი ოპერაციების განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 35 თვითმფრინავი.

ინგლისის გენერალური შტაბის კომუნიკეში აღნიშნულია: „ინგლისის საექსპედიციო არმია შეხვდა მოწინააღმდეგეს. ფრონტზე ბრძოლა სწარმოებს. მოწინააღმდეგის შემოტევა ლუვენზე მოგერიებულ იქნა“.

საფრანგეთის ცნობები

პარიზი, 16 მაისი. ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს: „მოკავშირეთა ჯარებს, რომლებიც ანტვერპენის სიმაგრეებს ეყრდნობიან, ჩრდილოეთით კონტაქტი აქვთ დამყარებული ზეელანდის დამცველ ძალებთან. ანტვერპენსა და ნამიურს შორის ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიისა და ინგლისის დიდი ძალები“. როგორც სააგენტო აღნიშნავს, ამ რაიონში იწყება მეორე ბრძოლა.

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 16 მაისი. საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ 16 მაისიდან საფრანგეთის შორმსროლელი ქვემეხები ყუმბარებს უშენენ დაუცველ ქალაქს რაშტატს, რომელსაც სამხედრო მნიშვნელობა არა აქვს. ამის საპასუხოდ გერმანიის მძიმე არტილერიამ სროლა აუტეხა გაგენაუს.

ბერლინი, 17 მაისი. საინფორმაციო ბიურო აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა ნამდვილი ზარალი გერმანიის სარდლობის 16 მაისის ცნობაში აღნიშნულზე უფრო მეტია. მოკავშირეთა ზარალი 15 მაისის განმავლობაში უკანასკნელი ცნობებით, ასეთია: ჩაძირულია ორი საესკადრო ნაღმოსანი და სამი სავაჭრო გემი; მძიმედ დაზიანებულია ორი საესკადრო ნაღმოსანი და ოთხი სავაჭრო გემი. სამი ჩაძირული სავაჭრო გემიდან ერთი არის ტრანსპორტი (10 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა) ჯარითურთ. გერმანიის ავიაციამ ჩრდილოეთ ზღვაში მოსპო მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავი და ჰოლანდიის სანაპიროსთან — ერთი ტრანსპორტი 32 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა და ერთი ტრანსპორტი 5.000 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა. მძიმედ დაზიანებულ იქნა კრეისერი, საესკადრო ნაღმოსანი და სავაჭრო გემი (5.400 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა).

ნარვიკის ნაპირებთან მოსპობილია ტრანსპორტი 18.000 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა და ერთი დამხმარე სამხედრო გემი 1.500 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა.

ამრიგად, მოწინააღმდეგის საერთო ზარალი 15 მაისის განმავლობაში უდრის 90-100 ათასი ტონაჟის სამხედრო და სავაჭრო გემებს.

ბერლინი, 17 მაისი. გერმანიის ქალაქებზე მოწინააღმდეგის თვითმფრინავების უკანასკნელ თავდასხმებთან დაკავშირებით, გერმანიაში მიღებულია ზომები საჰაერო თავდაცვის გასაძლიერებლად. გუშინ გამოქვეყნდა სპეციალური მიმართვა საზღვრისპირა ოლქებისა და ცენტრალური გერმანიის ქალაქების მოსახლეობისადმი—გულდასმით მოახდინონ ჩაბნელება. (საკდესი).

ბელგიის მთავრობამ დასტოვა ბრიუსელი

პარიზი, 17 მაისი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, ბელგიის მთავრობამ დასტოვა ბრიუსელი და გუშინ აქეთ იმყოფება ოსტენდეში (ბელგია).

გერმანიის ცნობა საომარი მოქმედების შესახებ

ბერლინი, 17 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბანაკის შემდეგ ცნობას:

„ანტვერპენსა და ნამიურს შორის, ვავრის სამხრეთით, მომხდარი ბრძოლის დროს გარღვეულ იქნა დილის ხაზი და დაკავებულია ნამიურის სიმაგრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი რაიონი. მობეჟის სამხრეთით, თვით კარინიანამდე, სედანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაჟინოს ხაზი გარღვეულია 100 კილომეტრის მანძილზე. საფრანგეთის ჯავშანსატანკო ნაწილები, რომლებიც დინანის დასავლეთით წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანიის ჯავშანსატანკო ჯარებს, დაპარცხდნენ. ჯარის შენაერთები და ავიაციის ესკადრილიები ყველგან სდევნიან მტერს, რომელიც უკან იხევს. სედანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მომხდარ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ერთი მოტორიზებული პოლკის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა ბალკმა. მიღებული ცნობების თანახმად, ფრონტის ამ უბანზე ხელთ ვიგდეთ 12 ათასი ტყვე, მათ შორის 2 გენერალი, აგრეთვე მრავალი ქვემეხი. სამხრეთის ფრონტზე გერმანიის ჯარის დიდმა შენაერთებმა მოიგერიეს მტრის იერიშები და გამაგრდნენ ამ რაიონში.

საარის ფრონტზე გრძელდებოდა საზვერვო მოქმედება მაჟინოს ხაზის წინააღმდეგ.

ჰოლანდიაში გერმანიის ჯარი განაგრძობს ზეელანდის პროვინციის კუნძულთა დაკავებას. გუშინ დაგვნებდა ტოლენის კუნძული. გერმანიის ავიაციის ძირითადი იერიში 16 მაისს მიმართული იყო მტრის ჯარის იმ შენაერთების წინააღმდეგ, რომლებიც საფრანგეთსა და ბელგიაში უკან იხევდნენ. დანგრეულია მრავალი სარკინიგზო ხაზი და გზები. მოსპობილია რკინიგზის სამხედრო ტრანსპორტების დიდი რაოდენობა. გაფანტულ იქნა ჯარის მრავალრიცხოვანი შეჯგუფებანი და მოლაშქრეთა კოლონები. მტრის სამხედრო-საზღვაო ძალებსა და ტრანსპორტებზე თავდასხმის შედეგად ჰოლანდია-ბელგიის სანაპიროზე ჩაძირულია მტრის კრეისერი და კანონერი. ერთი ტრანსპორტი ძლიერ დაზიანების შემდეგ იძულებული გახდა ნაპირზე გარიყულიყო. დაზიანდა აგრეთვე საფრანგეთის ორი საესკადრო ნაღმოსანი.

ნარვიკის რაიონში ყუმბარები დაეყარეთ ერთ საბაზო გემს და ერთ მსუბუქ კრეისერს. ცეცხლი გაუჩნდა 15 ათას ტონა წყალწყვის ტანკერს. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი ავიაგამანადგურებელი. გერმანიის სამთო ნაწილებმა, ავიაციის დახმარებით, წარმატებით მიიტანეს იერიში მტრის დესანტზე და ჯარის თავმოყრის ადგილებზე.

გუშინდელ დღეს მტერმა დასავლეთში დაჰკარგა 59 თვითმფრინავი. აქედან — 30 თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა საჰაერო ბრძოლის დროს და 8 თვითმფრინავი — საზენიტო არტილერიის მიერ, დანარჩენები მოსპობილ იქნა აეროდრომებზე. გერმანიის 15 თვითმფრინავი უკვალოდ დაიკარგა“.

„ნიუს ქრონიკლის“ ცნობა

ლონდონი, 16 მაისი (საკდესი). გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარებსა და გერმანიის ჯავშანსატანკო ნაწილებს შორის 15 მაისს მომხდარ სატანკო ბრძოლაში მონაწილეობდა სულ ცოტა 1.000 ტანკი. სხვა ცნობებით, მათი რაოდენობა 2.000-საც კი აღწევს.

გაზეთი აცხადებს, რომ გერმანელებმა საფრანგეთ-ბელგიის ფრონტზე გადაისროლეს 7 მექანიზებული დივიზია და 3.500 ტანკი.

კელნის ბომბარდირება

ბერლინი, 17 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ 15 მაისს ღამით მტრის თვითმფრინავები გამოჩნდნენ კელნის თავზე და ყუმბარები გადმოჰყარეს.

დაზიანებულია რამდენიმე სახლი. ერთი კაცი მოკლულია, ერთიც დაიჭრა. ყუმბარების უმეტესობა ქალაქის ფარგლებს გარეთ დაეცა. ზარალი უმნიშვნელოა. ამოქმედდა საზენიტო არტილერია, რომელმაც მტრის თვითმფრინავები უკუაქცია.

მ. ი. კალინინი ლენინის ქალაქის საწარმოებში

ლენინგრადი, 16 მაისი (საკდესი). დღეს სსრ კავშირის ფინსახკომის ზარაფხანას ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინი. ზარაფხანის მუშაკთა კოლექტივი უდიდესი სიხარულით შეეგება სრულიად-საკავშირო მამასახლისს.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ქალაქკომის მდივან ამხ. კუზნეცოვთან ერთად მიხეილ ივანეს-ძემ დაჰყო ზარაფხანაში და სხვა საამქროებში, ესაუბრა სტახანოველებს, გაიცნო მათი მუშაობა და გამოთხოვებისას უსურვა მათ წარმატება. საპატიო მიმსვლელთა წიგნში მიხეილ ივანეს-ძემ დასტოვა თავისი ჩანაწერი — შთაბეჭდილება.

3 მაისს კალინინის სახელობის ქარხნის (ყოფილი მილის) კოლექტივმა თავისი საწარმოს 70 წლისთავი იდღესასწაულა. ამხ. კალინინმა, რომელიც ოდესღაც ამ ქარხანაში მუშაობდა, კოლექტივს გაუგზავნა მისასალმებელი წერილი, სადაც სინანული გამოსთქვა, რომ არ შეეძლია მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულობაში.

დღეს დილით ამ ქარხანაში ჩამოვიდა მ. ი. კალინინი პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანთან ამხ. კუზნეცოვთან ერთად.

გაიმართა საქარხნო აქტივის კრება. დამსწრეთა შორის იყვნენ ხარატები ამხ. აფანასიევი, ერმოლაევი, კუტეინიკოვი, ოსტატი ამხ. ფინოგენოვი, რომლებიც მ. ი. კალინინთან ერთად მუშაობდნენ. მეგობრულ საუბარში მიხეილ ივანეს-ძემ უსურვა მათ სამილე ქარხნების მუშათა ბოლშევიკური ტრადიციების დაცვა.

მ. ი. კალინინი სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში

ლენინგრადი, 15 მაისი (საკდესი). დღეს ბალტიის გემთმშენებელ ქარხნის მუშებს ესტუმრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინი.

მრავალათასიანი მიტინგი ოვაციებით მიესალმა ამხანაგ კალინინის ტრიბუნაზე გამოჩენას.

გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. ამხანაგმა კალინინმა ორდენები გადასცა ქარხნის კოლექტივის საპატიო და წარჩინებულ ადამიანებს. მათ შორის ქარხნის დირექტორს ამხ. ტოვსტიხს, ორგზის ორდენოსან უხუცეს გემთმშენებელს ამხ. პუკანოვს, ბრიგადირ - ელექტრომემონტაჟეს ამხ. კუზმინს, ახალგაზრდა სტახანოველ-მემოქლონეს ამხ. პოლიაკოვს, ინჟინერს ამხ. მუჩკინს.

მიკროფონთან სდგას ამხ. ტოვსტიხი.

— ბალტიელები იღებენ ჯილდოს, — ამბობს იგი, — როგორც პარტიის, მთავრობისა და დიდი სტალინის უდიდესი ნდობის ნიშანს.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ახალგაზრდა მემოქლონე მუშამ ამხ. პოლიაკოვმა.

სიტყვა ეძლევა ამხ. კალინინს.

— ამხანაგებო! უდიდესი სიხარულითა და ულრმესი კმაყოფილებით მივესალმები თქვენს დაჯილდოებას, — იწყებს თავის სიტყვას ამხანაგი კალინინი, — მე ორმაგ გრძნობას განვიცდი: რაკი მთავრობამ უმაღლესი ორდენით დაგაჯილდოვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქარხანას დიდი წარმატება აქვს. მეორე მხრივ თუ ასეთ მოკლე ვადაში თქვენ დაიმსახურეთ ასეთი ჯილდო, ამით ხომ არ გაამაყდებით? (სიცილი, ტაში).

— პირველი წარმატებისაკენ გზა ყოველთვის მნიშვნელოვნად უფრო იოლია. — თუ, ვთქვათ, — განაგრძობს მიხეილ ივანეს-ძე, — ყანებში ჩვენ 5 ცენტნერი მოსავალი მოვიყვანეთ — მაშინ მისი გაორკეცება ადვილია. სამაგიეროდ მოსავლის შემდგომი გადიდება თვითეული ცენტნერით უკვე შედარებით დიდ ხელოვნებას, შრომის მეტ ხარჯვას მოითხოვს.

— აი ასე, — ამბობს მიხეილ ივანეს-ძე, — ბალტიელების პირველი წარმატება ყველასათვის ცხადია და ახლა მორიგი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განვამტკიცოთ ის, რასაც მივაღწიეთ, და მეორე კი, ერთ ადგილზე არ შევჩერდეთ და სულ წინ და წინ ვიაროთ.

— ჩვენი საბჭოთა მეზღვაურები სულ უფრო-დაუფრო სრულყოფილ გემებს მოითხოვენ, — მოაგონებს მუშებს ამხანაგი კალინინი, — ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენ ავამაღლოთ ბალტიელების მთელი კოლექტივის საწარმოო კულტურა.

— მე ვფიქრობ, რომ თქვენი სახელით შემიძლია ვუთხრა პარტიას, მთავრობას, მშრომელი კაცობრიობის ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ ბალტიელების შემოქმედებითი ძალა და საწარმოო ენერგია უაღრესად აქტიურ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ის გემები, რომლებიც შენდება, სულ უფრო სრულყოფილი, სულ უფრო უკეთესი იქნება (მქუხარე ტაში).

— შემიძლია ეს გადავცე? — ეკითხება ბალტიელებს ამხანაგი კალინინი (მქუხარე ტაში, შეძახილები: „შეგიძლიათ!“).

— სულითა და გულით გისურვებთ ახალ წარმატებებს, რომლებზედაც თქვენ ოცნებობთ და რომლებიც მე მრწამს, — აცხადებს დასასრულ მ. ი. კალინინი და გამოსთქვამს რწმენას, რომ ბალტიელები ლენინგრადის პარტორგანიზაციისა და თავიანთი საწარმოო მეთაურების ხელმძღვანელობით, პროფკავშირების დახმარებით არავის დაუთმობენ წამყვან ადგილს საბჭოთა გემთმშენებლობაში.

დიდხანს გრიალებს ხანგრძლივი ტაში. გაისმის ხმამაღალი „ვაშა“, როდესაც ამხანაგი კალინინი ამბობს:

— გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც სულიერად ამდიდრებს მშრომელ მასებს და თავისი იდეებით ანაყოფიერებს მთელ ჩვენს მუშაობას!

მოკრეფილია 273.205 კილოგრამი ჩაის ფოთოლი

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). აჭარის ასსრ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ ჩაის ფოთლის მასობრივად კრეფას. 16 მაისს აჭარაში მოიკრიფა 76.620 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. 17 მაისისათვის კი ჩაის ფაბრიკებს, კრეფის სეზონის დაწყებიდან, მიღებული ჰქონდათ სულ 273.205 კილოგრამი ფოთოლი, მაისის გეგმის 11,1 პროცენტი.

ტყიბულის რაიონმა თესვის გეგმა შეასრულა

ტყიბულის რაიონმა 15 მაისისათვის საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად 6.183 ჰექტარისა, დასთესა 6.208 ჰექტარი. რაიონში სიმინდის თესვის გეგმა შესრულებულია 108 პროცენტით.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი შ. ჭანუყვაძე

პარტიული ცხოვრება

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა

კიევი, 15 მაისი (საკდესი) მესამე დღეა განაგრძობს მუშაობას უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა. დღეს დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ზელენკოს მოხსენება. მან მოიყვანა უკრაინის პარტიული ორგანიზაციების ზრდის ნათელი ციფრები და ცნობები ყრილობის შემადგენლობის შესახებ.

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცების შემდეგ გრძელდებოდა კამათი უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გარშემო. უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ს. კოროტჩენკო თავის სიტყვაში დაწვრილებით შეჩერდა ადგილობრივ სახის სათბობის გამოყენების საკითხებზე.

ლვოვის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ ყრილობას უამბო უკრაინის კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გრიშჩუკმა. ქალაქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე დაიწყო დიდი შემოქმედებითი მუშაობა. ლვოვი დიდი ინდუსტრიული ცენტრი ხდება. 1939 წლის 1 ოქტომბრისათვის ოლქში იყო 150 ათასი უმუშევარი. ახლა კი შექმნილი და აღდგენილი ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის 3.000 მუშა გვაკლია.

ყრილობაზე მკაფიო სიტყვით გამოვიდა დრამატურგი კორნეიჩუკი. მან თავისი სიტყვა მიუძღვნა კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის საკითხებს.

დილის სხდომის დასასრულს გამოვიდა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ს. გრეჩუხა.

O

კიევი, 16 მაისი (საკდესი). ყრილობის საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო 57 კაცმა.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა.

ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

მინსკი, 15 მაისი (საკდესი). გუშინ ბელორუსიის კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის საღამოს სხდომაზე საანგარიშო მოხსენება ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. კ. პონომარენკომ.

ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე, — სთქვა ამხ. პონომარენკომ, — ბელორუსია, რომელიც ჩამორჩენილი წვრილი გლეხური ქვეყანა იყო, გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიალურ-საკოლმეურნეო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ბელორუსიის სსრ სახალხო მეურნეობის მთელი პროდუქციის 80 პროცენტი მრეწველობაზე მოდის.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ბელორუსიის სს რესპუბლიკამ ააშენა და აითვისა 1.700-ზე მეტი ახალი საწარმო. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 92 პროცენტი.

საანგარიშო პერიოდში ბელორუსიის ბოლშევიკთა კომუნისტურმა პარტიამ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი რიგები. პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვებისათვის შეურიგებელი ბრძოლის შედეგად ბელორუსიის კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის კიდევ უფრო მონოლიტური, მთლიანი გახდა თავის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში, კიდევ უფრო დაირაზმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის ირგვლივ.

XVII ყრილობის შემდგომს პერიოდში ბელორუსიის კ. პ. (ბ) მიერ პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია 26.745 კაცი, პარტიის წევრად — 12.072 კაცი. ამჟამად ბელორუსიის სსრ მხოლოდ აღმოსავლეთ ოლქებში 100 ათასზე მეტი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო ინტელიგენტი დამოუკიდებლად სწავლობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას.

სახელმძღვანელო პოსტებზე სახელმწიფო და პარტიული ხაზით დაწინაურებულია დაახლოებით 30 ათასი პარტიული და უპარტიო ბოლშევიკი.

მინსკი, 16 მაისი (საკდესი). დღეს ბელორუსიის კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დილის სხდომაზე საანგარიშო მოხსენება ცენტრალური სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. სედიხმა. შემდეგ დაიწყო კამათი ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

ყრილობას მიესალმნენ რესპუბლიკის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა, მუშა-ქალთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა დელეგაციები.

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საანგარიშო მოხსენებათა გამო.

პრაქტიკული ღონისძიებები ქაღალდზე რჩება

სტალინირი (საქდესი). სარბიელის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის (ლენინგორის რაიონი) საანგარიშო საარჩევნო კრებამ, რომელიც 18 თებერვალს გაიმართა, ახლად არჩეულს პარტიულ ორგანიზაციას დაავალა გამოეშვა კედლის გაზეთი, მოეწყო თეორიული კონფერენციები, ყველა კომუნისტისათვის მიეცა პარტიული დავალება, გამოეცოცხლებინა პოლიტწრის მუშაობა.

გავიდა სამი თვე, პრაქტიკული ღონისძიებები კი ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზეა. 18 თებერვალს არჩეულ იქნა რედკოლეგია, მაგრამ დღემდე კედლის გაზეთის არცერთი ნომერი არ გამოსულა. არც თეორიული კონფერენციები იმართებოდა.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია პარტიის 24 წევრსა და წევრობის 5 კანდიდატს აერთიანებს. პარტიის ისტორიას მხოლოდ 5 კომუნისტი სწავლობს, პარტიის დანარჩენი წევრები და კანდიდატები კი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლას სულაც არ შესდგომიან. პარტიის ლენინგორის რაიკომში დარწმუნებული არიან, რომ სარბიელის კოლმეურნეობაში პოლიტწრე მუშაობს, ნამდვილად კი სამი თვის განმავლობაში წრეს ერთი მეცადინეობაც კი არა ჰქონია.

კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. კ. გოლოევი არ ზრუნავს იმისათვის, რომ განახორციელოს კომუნისტების მიერ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დასახული პრაქტიკული ღონისძიებანი.

საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს პარტორგანიზაციის მუშაობა, ბოლშევიკურად ამხილეს ნაკლოვანებანი და ფაბრიკისა და პარტორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის მრავალი საქმიანი წინადადება შემოიტანეს.

ახალი პარტბიურო (მდივანი ამხ. გ. მღებრიშვილი) საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ შეუდგა კომუნისტთა წინადადებების გატარებას. პარტორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლას, ახალი კონვეიერისა და დაზგების ათვისებას და სხვ.

1940 წელს ფაბრიკას უნდა აეთვისებინა ტილოს ფეხსაცმლის დუბლირებული ქსოვილის დამზადება. ეს აღმოფხვრიდა მანქანებისა და მუშების მოცდენას, შეამცირებდა თვითღირებულებას და გაზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. პარტორგანიზაციის ინიციატივით დაჩქარდა ქსოვილის დამზადებისათვის საჭირო სამუშაოები. 7 მარტს პარტბიურომ მოისმინა საგამომჭრელო საამქროს მუშაობის საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი ამ ახალი პროცესის დაჩქარებით ათვისებისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ გაკეთდა ფეხსაცმლის ზედაპირის საჭრელი ტრაფარეტები, მომზადდა სათანადო კვალიფიკაციის მუშები და სხვ. ფაბრიკა უკვე გადავიდა დუბლირილებული ქსოვილის დამზადებასა და მოხმარებაზე, რაც წლიურად 1 მილიონი მანეთის ეკონომიას იძლევა.

ფაბრიკამ წელს უნდა გამოუშვას 300 ათასი წყვილი „ბოსონოჟკების“ ტიპის ფეხსაცმელი. რადგან ასეთი ფეხსაცმელი აქ არ მზადდებოდა, საჭირო იყო ახალი კონვეიერის მოწყობა.

29 მარტს პარტბიურომ განიხილა კონვეიერის მოწყობის საკითხი. კომუნისტებმა ვალდებულება აიღეს სათავეში ჩადგომოდნენ ცალკეულ სამუშაოებს და 15 აპრილისათვის დაემთავრებინათ კონვეიერის სამკერვალო უბანი. კომუნისტებმა ვალდებულება პირნათლად შეასრულეს.

გასულ წელთან შედარებით ფაბრიკამ მუშაობა გააუმჯობესა. იანვარში პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 101,5 პროცენტით, თებერვალში — 103,7 პროცენტით, მარტში — 100,1 პროცენტით, აპრილში პირველი ხარისხის ფეხსაცმელი 70 პროცენტის ნაცვლად გამოუშვეს 77 პროცენტი. 1940 წლის პირველ კვარტალში გამოშვებულია 1.028.000 წყვილი ფეხსაცმელი, ანუ გეგმის 101,7 პროცენტი.

პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტები საყვედურს გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ პარტორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტიაში ქალთა მიღების საქმეს, როდესაც ფაბრიკაში რამდენიმე ასეული ქალი მუშაობს და მათ შორის ბევრია მოწინავე.

პარტბიურომ სათანადო მუშაობა გაშალა სტახანოველ ქალთა პარტიაში მიღებისათვის. საანგარიშო კრების შემდეგ პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია 26 ამხანაგი, აქედან ქალია—12.

საშტამპო საამქროს პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით საამქრო ორცვლიდან ერთცვლიან მუშაობაზე გადავიდა. ეს ფაბრიკას წლიურად აძლევს 300 ათას მანეთის ეკონომიას.

ამხ. ი. შაპირო საანგარიშო კრებაზე აღნიშნავდა, რომ პარტბიუროს ყველა წევრი აქტიურად არ არის პარტიულ მუშაობაში ჩაბმული. ამავე დროს პარტორგანიზაცია სუსტად იბრძვის კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

პარტბიუროს თვითეულ წევრს ახლა კონკრეტული დავალებები ეძლევა. ბიურო ყოველთვიურად ადგენს გეგმებს და ცალკეული საკითხების მომზადებაში აბამს ბიუროს ერთს ან რამდენიმე წევრს.

ფაბრიკის კომუნისტების უმრავლესობა დამოუკიდებლად სწავლობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის პარტკაბინეტში მუშაობს მუდმივი კონსულტანტი (ქართულ ენაზე). კონსულტაციას სწარმოებს აგრეთვე რუსულ და სომხურ ენებზე.

ამხ. გასპაროვმა საანგარიშო კრების ყურადღება შეაჩერა ფაბრიკაში თავდაცვითი მუშაობის სისუსტეზე. მან სთქვა, რომ ამ დარგში არსებული მიღწევებით თავს ვერ ვიქებთო. ახალმა პარტბიურომ ყურადღება მიაქცია სამხედრო თავდაცვითი მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას. რამდენიმე ხნის წინათ ეს საკითხი პარტიული კრების მსჯელობის საგანიც გახდა. ამის შემდეგ მუშაობამ გაუმჯობესება დაეტყო. ფაბრიკასთან მოეწყო საუკეთესო ტირი 25 და 50 მეტრის მანძილზე სროლისათვის. წვევამდელთა შორის წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით მოეწყო რამდენიმე წრე. ერთმა წრემ უკვე დაამთავრა მუშაობა და გამოუშვა 19 კაცი. მოეწყო 25-კილომეტრიანი გასამხედროებული ლაშქრობა, 1 კილომეტრზე აირწინაღებით გადასვლა. მშთ ნორმების ჩაბარებაში ჩაბმულია 3200 კაცი. მეორე საფეხურის ნორმები დღემდე 24 კაცმა ჩააბარა.

ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას. საამქროებთან მოწყობილია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომლებშიაც 60-ზე მეტი მუშა მეცადინეობს.

პარტბიურო სწორად მოიქცა როცა დახმარებისა და ხელმძღვანელობის მიზნით ჩაატარა ფაბრიკის პარტჯგუფორგების ორდღიანი სემინარი.

ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით. საანგარიშო-საარჩევნო კრების გადაწყვეტილებანი და კომუნისტთა წინადადებები მთლიანად უნდა გატარდეს ცხოვრებაში. ასეთი წინადადებები კი ჯერ კიდევ არის განუხორციელებელი.

რ. ფალავანდიშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1. კარაპეტ ბართემის-ძე **მარქარიანი**— საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1927 წლიდან, პარტბილეთი № 1526353—რადგან, დაჰფარა, რომ წარსულში ეკუთვნოდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ორგანიზაციას და პარტიის წინაშე გამოიჩინა არაგულწრფელობა.
2. მამედ **ფარაჯ-ოღლი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1543764—როგორც ირანის ქვეშევრდომი.
3. მიხეილ ოგანის-ძე **ატოიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2839350—თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა, თვითმომარაგებისა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის.
4. ნიკოლოზ გაბრიელის-ძე **ნათენაძე**— საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1927 წლიდან, პარტბილეთი № 1538560 — საკოლმეურნეო ქონების განიავებისა და თვალისახვევისათვის.
5. ივანე დიმიტრის-ძე **ნადებაშვილი**— საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 1548044—გაფლანგვისა და სიყალბის ჩადენისათვის.
6. ნიკოლოზ დარჩის-ძე **ქსოვრელი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1927 წლიდან, პარტბილეთი № 1548690 — სახელმწიფო სახსრების მითვისებისათვის.
7. მიხეილ კებუს-ძე **კორშია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 1514078 — საკოლმეურნეო სახსრების მითვისებისათვის.
8. კლიმენტი ანდრიას-ძე **დანელია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1503489—ლოთობისა და დებოშისათვის.
9. იორდანე იესეს-ძე **კალანდაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1528606 — საკოლმეურნეო ქონების განიავებისა და კოლმეურნეობის 20 ფუთი სიმინდის მითვისებისათვის.
10. შოთა პართენის-ძე **მაღნარაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1679217—კონტრრევოლუციონერ ტროცკისტთან კავშირის დაჭერისა და თვითმკვლელობის განზრახვისათვის.
11. აკაკი სიმონის-ძე **ძიძიგური** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1511558 — საკარმიდამო მიწების ყიდვა-გაყიდვაში ხელის შეწყობისათვის.
12. დავით სერგის-ძე **ფირანაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1511515—იმისათვის, რომ იყიდა მიწა და მიითვისა სკოლის მიწის ნაკვეთი 0,28 ჰექტარის რაოდენობით, სასოფლო საბჭოს შენობაში ასტეხა დებოში და ცილი დასწამა აგრონომს.
13. არშაკ სიმონის-ძე **ოქროიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1264237 — კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1. ვიქტორ სერგის-ძე **მდინარაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2862389 — კოოპერატიული სახსრების მითვისებისათვის.
2. ბენედიქტე სერგის-ძე **მამფორია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1264613 — კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისა და საკანდიდატო ბარათის დაკარგვისათვის.
3. ირაკლი მელიტონის-ძე **ლომთაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1928 წლიდან, პარტბილეთი № 1543904 — 5366 მანეთ სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის.
4. სერგი იაკინთეს-ძე **მენაბდე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1668591—სიყალბის ჩადენისათვის.
5. ალექსანდრე მალხაზის-ძე **წულაია**— საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 1549929—თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და სიმინდის განიავებისათვის.
6. იოსებ ისაკის-ძე **გოგაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, (სიღნაღის რაიონის პარტორგანიზაციიდან,—ვინაიდან პარტიაში შესვლისას დაჰფარა, რომ ის 1928 წელს სამართალში იყო მიცემული.
7. ილია ივანეს-ძე **ჯამანაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 2848151 — საკოლმეურნეო ქონების განიავებისათვის.

პოლკოვნიკი ე. ბოლტინი

სუვოროვი

(გარდაცვალების 140 წლისთავისათვის)

შვიდწლიანი ომის დროს, 1759 წლის ზაფხულზე, რუსეთის ჯარი ფელდმარშალ სალტიკოვის სარდლობით პრუსიის ფარგლებში შეიჭრა და ორჯერ დაამარცხა მეფე ფრიდრიხ II არმია, რომელიც სანიმუშო არმიად ითვლებოდა მთელს ევროპაში. პირველ ბრძოლაში 12 ივლისს *) დამარცხდნენ ფრიდრიხის გენერლები—ვედელი და ვობერსონი. მეორე ბრძოლა მოხდა 12 აგვისტოს სოფელ კუნერსდორფთან და პრუსიელების სრული დამარცხებით დამთავრდა; პრუსიელებს ამ ბრძოლაში თვით მეფე სარდლობდა.

1759 წლის კამპანია იყო პირველი კამპანია, რომელშიც მონაწილეობდა 29 წლის რუსი ოფიცერი პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვი. ამის შემდეგ ორმოცი წლის განმავლობაში სუვოროვმა თავისი ცხოვრება თითქმის განუწყვეტელ ლაშქრობასა და ბრძოლაში გაატარა და მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვებანი, რომელთაც იგი მსოფლიოს უდიდეს სარდალთა რიგში ჩააყენეს.

სუვოროვის დროის ომები იყო ომები რუსეთის სათავადაზნაურო იმპერიის გაძლიერებისათვის, მეფის ტახტის განდიდებისათვის. და მაინც სუვოროვი მახლობელი და ძვირფასია ჩვენთვის; საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს მით და პატივსა სცემს მას. ამის მიზეზი ის არის, რომ სუვოროვი ღრმად ნაციონალური და ხალხური გმირია, რომ ეს შესანიშნავი სარდალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული არმიის მასებთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა და, რომ მას მგზნებარედ უყვარდა და ერთგული იყო სამშობლოსი და თავისი ხალხისა, რომ იგი შესანიშნავი და თავისებური სამხედრო ტალანტის მქონე „ფელდმარშალ-ჯარისკაცი“ იყო.

ა. ვ. სუვოროვი დაიბადა 1730 წლის 13 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში. მისი მამა, ვასილი ივანეს-ძე, სამხედრო კაცი იყო, რომელმაც სამსახური დაიწყო პეტრე პირველის დროს და 1753 წლისათვის უკვე გენერლის ჩინი დაიმსახურა. სუვოროვები მდიდრები არ იყვნენ და მეტწილად თავიანთ მამულში ცხოვრობდნენ უბრალოდ.

იმ დროს აზნაურთა ვაჟები შეიძლებოდა დაბადებიდანვე ყოფილიყვნენ ჩაწერილნი ჯარისკაცებად და ჩვეულებრივად სრულწლოვანობის შესრულების დროს უკვე ოფიცრის ჩინს იღებდნენ ისე, რომ ფაქტიურად ერთი დღეც კი არა ჰქონდათ გატარებული მწყობრში. სუვოროვის დედას არა სურდა ერთადერთი და საკმაოდ სუსტი აგებულების ვაჟი სამხედრო სამსახურში ყოფილიყო განწესებული და ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ამას. მაგრამ ბავშვმა პატარაობიდანვე უდიდესი ინტერესი გამოიჩინა სამხედრო საქმისადმი, გატაცებით კითხულობდა სამხედრო ისტორიის წიგნებს, რაც მაშინ მეტად ძნელი საშოვნელი იყო, ოცნებობდა ჰანიბალის, ცეზარის, ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო გმირობაზე. ამან განსაზღვრა სუვოროვის ბედი: თორმეტი წლისა იგი 1742 წელს ჩარიცხეს სემიონოვსკის პოლკში.

ხუთმეტი წლის სუვოროვმა დაიწყო ნამდვილი სამსახური რიგითი ჯარისკაცად. ამავე დროს მისი ტოლები შინ ისხდნენ და უკვე სერჟანტის ხარისხს იღებდნენ. ოფიცრის პირველი ხარისხი პოდპორუჩიკისა სუვოროვმა მიიღო მხოლოდ 1754 წელს. ამან უდიდესი როლი შეასრულა სუვოროვის ხასიათის ჩამოყალიბებაში: იგი ამ წლების განმავლობაში პრაქტიკულად გაეცნო სამხედრო სამსახურის ყველა სიძნელეს, კარგად შეისწავლა რუსი ჯარისკაცი, შეესისხლხორცა ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანებს, გაიგო მათი საჭიროებანი და ელაპარაკებოდა მათ მასებისათვის გასაგები ენით. ჯარისკაცებს უყვარდათ სუვოროვი და ყოველგვარ საგმირო საქმეზე მიჰყვებოდნენ მას. ეს იყო ერთერთი მიზეზი სუვოროვის არმიის უძლეველობისა.



ახალგაზრდა სუვოროვის ოფიცრის კარიერის პირველი წლები არაფრით არ იყო შესანიშნავი. ეს იყო დრო, როცა სამხედრო საქმეში ბატონობდა მტრის ეგრეთწოდებული „მოქანცვის სტრატეგია“ და სახაზო ტაქტიკა. პირველი იმით ხასიათდებოდა, რომ მიზნად ისახავდა ომის მოგებას მანევრირების, მტრის ძალების დაქსაქსვის საშუალებით, ანდა მათ კომუნიკაციებზე თავდასხმის საშუალებით, რათა შექმნილიყო მტრის განადგურების მუქარა და იძულებული გაეხადა მტერი უბრძოლველად დაეხია უკან. ასეთი სტრატეგია გამომდინარეობდა XVIII საუკუნის დაქირავებული არმიების ხასიათიდან, რომლებიც საზოგადოების ნაძირალებისაგან შესდგებოდნენ. მხოლოდ რუსეთის არმია ივსებოდა ლაშქრობის მოკრების გზით. ეს ადამიანთ მასალის საბრძოლო ხარისხის მხრივ შეუდარებლად მაღლა აყენებდა რუსეთის არმიას. XVIII საუკუნის სახაზო ტაქტიკა გამომდინარეობდა, ერთი მხრივ, დაქირავებული არმიის და ამ არმიაში გამეფებული ჯოხის დისციპლინის ხასიათიდან. („ჯარისკაცს უფრო მეტად უნდა ეშინოდეს კაპრალის ჯოხისა, ვიდრე მტრისა“ — ამბობდა ფრიდრიხი), მეორე მხრივ, მაშინდელი იარაღის თვისებებიდან. ქვეითი ჯარის თოფი 60 ნაბიჯზე უფრო შორს ვერ მოქმედებდა. ბრძოლა სწარმოებდა „ბატალური“ (საერთო, დაუმიზნებელი) ცეცხლისა და საბრძოლო წესით მანევრირების შეთავსების საფუძველზე. ქვეითი ჯარი ეწყობოდა 2-3 მწკრივად და მოძრაობდა ბრძოლის ველზე მთლიანად და ერთდროულად და ცდილობდა არ დაერღვია სამწკრივო წესი.

სახაზო ტაქტიკა სრულყოფამდე მიიყვანა პრუსიის მეფემ ფრიდრიხ მეორემ, რომელმაც ევროპაში საუკეთესო დაქირავებული არმია შექმნა. ამ არმიამ გვიჩვენა „მოქანცვის სტრატეგიის“ კლასიკური ნიმუშები მარჯვე მანევრირებით ქვეყნის შიგნით, რამაც საშუალება მისცა ფრიდრიხს შვიდი წლის განმავლობაში ეწარმოებინა წარმატებითი ომი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა (საფრანგეთის, ავსტრიის, რუსეთისა და სხვ.) მძლავრი კოალიციის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ომის პროცესში გამოირკვა „მოქანცვის სტრატეგიისა“ და სახაზო ტაქტიკის სუსტი მხარეებიც.

შვიდწლიანმა ომმა მდიდარი გამოცდილება მისცა სუვოროვს და მომავალი სარდლის შემოქმედებითი აზროვნება ოპერაციისა და ბრძოლის ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმების ძიებისაკენ მიმართა. 1763 წლიდან დაწყებული, როცა სუვოროვი სუზდალის ქვეითი პოლკის უფროსად დაინიშნა, ხუთი წლის განმავლობაში იგი ამუშავებდა ჯარის საბრძოლო მომზადების საკუთარ სისტემასა და საკუთარ ტაქტიკას, რომელიც გამოთქმული იყო შემდეგ მის ცნობილ ინსტრუქციაში —„გამარჯვების მეცნიერება“.

სუვოროვის ტაქტიკის დედაარსი მარტივი იყო, როგორც ყოველივე გენიალური. ჯარისკაცში იგი ხედავდა **ადამიანს** და ცდილობდა განევითარებინა მასში ინიციატივა, საზრიანობა, გამბედაობა, მამაცობა, მოქმედების სისწრაფე. „თვითეულ მებრძოლს უნდა ესმოდეს თავისი მანევრი“, — ამბობდა სუვოროვი და გადაჭრით უარჰყოფდა ყოველგვარ გარეგნულ ზეიმობას, ეგრეთწოდებულ მუშტრას, რომელშიც მისი თანამედროვე გენერლების უმრავლესობა საბრძოლო სწავლების საფუძველს ხედავდა. სუვოროვი თავის ჯარისკაცებს ასწავლიდა ბრძოლის ცოცხალ ხელოვნებას და ამასთან თვითონ ასწავლიდა. ესმოდა რა მაშინდელი თოფის ცეცხლის როლის შეზღუდულობა, სუვოროვი მოითხოვდა ჯარისაგან, რათა თვითეული საბრძოლო შეტაკება უსათუოდ დამთავრებულიყო ხიშტით იერიშის მიტანით. „შეინახე ტყვია სამი დღით, ხოლო ხანდახან მთელი კამპანიის განმავლობაში, როცა ტყვია არ იშოვნება. ისროლე იშვიათად, მაგრამ ზუსტად; ხიშტი დაარტყი მაგრად; ტყვია მოგატყუილებს, ხიშტი კი არ მოტყუვდება; ტყვია სულელია, ხიშტი ყოჩაღია“. — ასე ჩამოაყალიბა მან ეს დებულება „გამარჯვების მეცნიერებაში“. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ სუვოროვი უგულვებელჰყოფდა სამხედრო ტექნიკას. ტექნიკის მნიშვნელობა მას მშვენივრად ესმოდა; სთვლიდა რა ხიშტს ცალკეული მებრძოლის ძირითად იარაღად, სუვოროვმა შემოიღო მისი დროისათვის უჩვეულო დამიზნებით სროლის სწავლება.

არცერთ სარდალს არ შეუძლია იოლად გასცდეს თავისი დროის ფარგლებს; ბუნებრივია ამიტომ, რომ სუვოროვის ჯარის საბრძოლო წყობილება ენათესავება XVIII საუკუნის კლასიკურ „სახაზო წესს“. მაგრამ ხაზთან ერთად სუვოროვმა ფართოდ გამოიყენა საბრძოლო წესის სხვა ფორმებიც—კარე, კოლონა და ცალკეულ შემთხვევებში, გაფანტული წყობა. სუვოროვის გენიალურმა გონებამ წინასწარ განსჭვრიტა სამხედრო ხელოვნების განვითარების ის გზები და ფორმები, რომლებითაც წავიდა XVIII საუკუნის დამლევს საფრანგეთის რევოლუციური ბურჟუაზიის არმია და რომლებიც შემდგომ სრულყოფამდე მიიყვანა ნაპოლეონმა.

O

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამი დიდი სარდალი იყო: ფრიდრიხი, სუვოროვი და ნაპოლეონი. პირველმა მათგანმა თავისი მოღვაწეობით დაასრულა ფეოდალიზმის სამხედრო ხელოვნების ეპოქა; უკანასკნელი იწყებდა ახალ ეპოქას — მომავალი კაპიტალისტური საზოგადოების სამხედრო ხელოვნების ეპოქას. სუვოროვმა იმ დროის მიხედვით, როდესაც იგი ცხოვრობდა და იმ სკოლის მიხედვით, რომელიც მან შექმნა, დაიკავა საშუალო მდგომარეობა ამ ორთა შორის, მაგრამ იგი მათზე ნაკლები როდი იყო, რადგან მან პირველმა გაბედულად უარჰყო ფრიდრიხის გაქვავებული სისტემის შაბლონები და პირველმავე დამოუკიდებლად შემოიღო ახალი ელემენტები, რომლებიც ფართოდ გამოიყენა შემდგომ ნაპოლეონმა. ამრიგად, სუვოროვის რუსულ ორიგინალურ სამხედრო ხელოვნებას სამართლიანად შეუძლია და უნდა დაიკავოს კიდეც ადგილი მსოფლიოს საუკეთესო სამხედრო ხელოვნების ნიმუშების გვერდით.

მაგრამ სუვოროვს არ შეეძლო სავსებით გაეშალა სამხედრო წინამძღოლის უდიდესი ნიჭი. ფრიდრიხი თავის სახელმწიფოს მპყრობელი იყო. ნაპოლეონი მიისწრაფოდა ერთპიროვნული დიქტატურისაკენ და ბოლოს ფრანგების იმპერატორი გახდა. ამან საშუალება მისცა ერთსაც და მეორესაც სავსებით გაეშალათ თავიანთი შემოქმედებითი ენერგია.

სრულებით სხვა მდგომარეობაში იმყოფებოდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სუვოროვი. იგი არა თუ ყოვლის შემძლე მონარქი-სარდალი არ იყო თავისი საკუთარი არმიისა, არამედ თითქმის არ ყოფილა დამოუკიდებელი სარდალი ცალკე დიდი არმიისა. გენერალ-მაიორის ხარისხი სუვოროვმა მიიღო, როცა 40 წლისა გახდა, და თითქმის 20 წელი პოლკისა და დივიზიის ხელმძღვანელი იყო, მუდამ სხვებს ექვემდებარებოდა, მეტწილად შეზღუდულ და უნიჭო ადამიანებს. ეს მეტად ამძიმებდა სუვოროვს.

პოლონეთში პირველი ექსპედიციის შემდეგ (1768 წელს) რუსეთ-თურქეთის მეორე ომამდე (1787 წ.) განვლილი ოცი წლის განმავლობაში დიდი სახელი მოიხვეჭა სუვოროვმა. გამარჯვება ოგინსკის პოლონელთა კორპუსზე სტოლოვიჩთან (1771 წ.), კრაკოვის ციხის აღება (1772 წ.), თურქთა გამაგრებული ბანაკის აღება ტურტუკაისთან და მრავალი სხვა ბრძოლა და შეტაკება—ეს სავსებით საკმაო იქნებოდა ყველა სხვა საშუალო გენერლისათვის, რომ უმაღლესი ხარისხი და დამოუკიდებელი სარდლობა მიეღო.

მაგრამ სუვოროვს ძლიერი მტრები და მრავალი მოშურნე ჰყავდა. სარდლის პირდაპირი და პატიოსანი ხასიათი, აზრის მკვეთრად გამოთქმა, ორიგინალობა და მანერების გარეგნული უხეშობა, ყოველივე ეს კიდევ უფრო აღვივებდა მოშურნეთა ცილისწამებას ეკატერინეს აზნაურობის ზედა ფენებში. სუვოროვს აფასებდნენ, მაგრამ არ უყვარდათ და ეშინოდათ მისი მეფის სასახლეში; ყოვლისშემძლე მედროვე პოტიომკინი მას ისე უყურებდა, როგორც საშიშ მოქიშპეს, და ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა მისი დამოუკიდებლობა. და თუ, მიუხედავად ყოველივე ამისა, სუვოროვის გამარჯვებებმა აალაპარაკა მთელი მსოფლიო, ეს მხოლოდ-მხოლოდ დიდი სარდლის საკუთარი დამსახურება იყო.

სუვოროვს მთელს ევროპაში სახელი გაუთქვა სამმა ბრწყინვალე გამარჯვებამ რუსეთ-თურქეთის მეორე ომში (1787—1791 წ. წ.); ეს ომი სუვოროვმა დაიწყო გენერალ-ანშეფის ხარისხით და ჩაატარა კორპუსის სარდლის თანამდებობაზე. ეს სამი გამარჯვება ჩაწერილია სამხედრო ხელოვნების ისტორიაში იმ გეოგრაფიული სახელწოდებებით, სადაც ეს ბრძოლები გაიმართა: ფოქშანი, რიმნიკი და იზმაილი.

ფოქშანთან 1789 წლის 21 ივლისს სუვოროვმა, მიეშურებოდა რა რუსების მოკავშირეთა — ავსტრიელთა დასახმარებლად, დაამარცხა 30-ათა-

---

*) თარიღები ყველგან ძველი სტილითაა.

საკოლმეურნეო წარმოების სახალხო დათვალიერება

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

პირველი დღე

მოსკოვი, (ჩვენი საკ. კორ.) მოსკოვს კაშკაშა მზე დაჰყურებს. გამოფენის მთელი ტერიტორია ბრწყინავს ნათელი ფერადებით. საზეიმოდაა მორთული კოლმეურნეთა მოედანი. ქარი აფრიალებს წითელი ალმების არშიას მთავარ პავილიონზე, სადაც დგას ტრიბუნა გაშლილი დროშებით, ბელადების პორტრეტებით. მოდიან გამოფენის მონაწილეთა ჯგუფები, მოსკოველი სტუმრები, ყოველი მხრიდან ავსებენ ისინი კოლმეურნეობათა მოედანს.

სრულ 2 საათზე ინტერნაციონალის გრიალში იწყება საზეიმო მიტინგი. 2 საათსა და 40 წუთზე აღიმართა ალამი მთავარ პავილიონზე. იმავე მომენტში საქართველოს პავილიონზე ალამს აღმართავს ამავე პავილიონის დირექტორი ამხ. ბუჯიაშვილი. პავილიონის კარები ფართოდ იღება პირველი სტუმრების მისაღებად.

სტალინური კოლმეურნეობების ახალ გამარჯვებათა სახალხო დათვალიერება დაიწყო. მნახველებმა ფართო ნაკადად მიაშურეს პავილიონის კარებს. რამდენიმე წუთის შემდეგ მთლიანად გაიჭედა ყველა დარბაზი. პირველ მნახველთა შორის არიან თბილისის რაიონიდან ჩამოსული გამოფენის მონაწილენი. მათ თან ახლავთ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ლეკიშვილი. პავილიონში შედის უშა ახუბა, შემდეგ ტაჯიკისტანის მოწინავეთა ჯგუფი. დაუსრულებელ ნაკადად მიდიან მნახველები პავილიონის დარბაზებში, ყველგან ისმის მოხიბვლისა და აღფრთოვანების ხმები. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს სუბტროპიკული კულტურების დარბაზი, აგრეთვე მეცხოველეობისა და მევენახეობის საუცხოოდ გაფორმებული სტენდები.

პავილიონი სტუმართმოყვარეობით აღებს პირველი სტუმრების წინაშე საქართველოს სოფლის მეურნეობის საგანძურს.

თბილისის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მარიამული ამბობს: „საქართველოს პავილიონი ჰყავის ისე, როგორც ჰყავის ჩვენი სამშობლო. გსურს იმუშაო კიდევ უფრო მეტი და უფრო კარგად“.

მნახველთა შთაბეჭდილების წიგნი სწრაფად ივსება. მისი რამდენიმე ფურცელი უკვე შეივსო აღფრთოვანებული, მეტყველებით ლაკონიური აზრების გამოთქმით.

პირველი ჩანაწერი ამბობს „ბრწყინვალეა“, მეორე—„უბადლოა“, მესამე—„ზღაპრულია“.

პავილიონის მნახველები თავიანთ ჩანაწერებში გამოსთქვამენ მხურვალე მისალმებას დიდი **სტალინის** სამშობლოს მიმართ და შემდგომი წარმატებების სურვილებს.

თავიდანვე აშკარაა, რომ პავილიონი უზრუნველყოფილია არანაკლები წარმატებით, ვიდრე გასულ წელს.

მეორე დღე

მოსკოვი, 16 მაისი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). დილის 9 საათიდან დაწყებული პავილიონის ხეივნები აივსო პირველი ორგანიზებული ექსკურსიებით. გამოფენის მონაწილენი მოდიან ყველა მხრიდან სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვებათა საკავშირო დათვალიერებაზე. ისინი სიამაყით უცქერენ თავიანთი მუშაობის ნაყოფს, ხარბად ითვისებენ იმ ძვირფას გამოცდილებას, რომელიც თავმოყრილია გამოფენაზე. დაწესებული გრაფიკის მიხედვით ყველა ექსკურსია პირველ რიგში ათვალიერებს მთავარ პავილიონს. დღეს ეს პავილიონი მიიღებს 117 ექსკურსიას. ამ პავილიონში ფართოდ არის გადაშლილი მთელი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვებათა დიადი პანორამა, ნაჩვენებია მეცნიერების როლი. ცალკეული სტენდები მიძღვნილია მთელ კავშირში ისეთი ცნობილი ნოვატორი კოლმეურნეებისადმი, როგორიც არიან ეფრემოვი, მალცევი. ერთერთ მოძრავ სტენდზე არის წარწერა: „პირველ პიონერებს მოჰყვნენ ათასობით ახალი სტახანოველები“. აქ მოცემულია მათი პორტრეტები, ნაამბობია მოწინავეების—დემჩენკოს, ანგელინას და სხვების მიმდევართა ახალი რაზმის მუშაობის შესახებ. მათ შორის არის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი კეტიშვილი. სტენდი მოგვითხრობს, რომ მან 1939 წელს ერთ ჰექტარზე აიღო 1200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ექსკურსიები ათვალიერებენ საქართველოს პავილიონს. დღეს პავილიონი ნახეს ბაშკირებმა, ყაზახებმა, ვორონეჟის, სტალინის, კურსკის, ნიკოლაევის ოლქების კოლმეურნეებმა. მათი ყურადღების ცენტრშია მთავარი დარბაზი, რომელშიც დგას ახალგაზრდა სტალინის ქანდაკება, ისტორიული სახლი გორში. ისინი დაწვრილებით ეკითხებიან ექსკურსიების ხელმძღვანელებს **სტალინის** სამშობლოზე, საქართველოში მისი რევოლუციური მუშაობის პირველ წლებზე. **სტალინს** უძღვნიან ისინი თავიანთ ჩანაწერებს მნახველთა წიგნში. ვორონეჟის ოლქის კოლმეურნე კლიმენჩუკი სწერს: „საქართველოს პავილიონი ყველაზე ლამაზია, იგი სავსებით შესაფერია დიდი **სტალინის** სამშობლოსი. იგი გვიმტკიცებს **ლენინურ - სტალინური** ნაციონალური პოლიტიკის მთელ სისწორეს. მან ჩემში დასტოვა სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი სიყვარულისა და სიამაყის წარუშლელი გრძნობა“. სტალინს მიმართავს თავის ფიქრებს აგრეთვე პავილიონის მნახველი რაზუმოვსკიც, რომელმაც ამ ორმოცი წლის წინათ ფეხით შემოიარა საქართველო. მაშინ იგი ფიქრობდა — რამდენი სიმდიდრე და შესაძლებლობა მოიპოვება საქართველოში. „მხოლოდ ახლა, — სწერს იგი, — სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ გაიფურჩქნა საქართველო. ეს არის ჩვენი მთავრობის, პარტიის, ჩვენი დიდი მასწავლებლის — **სტალინის** მუშაობის შედეგი“.

დღეს პავილიონი დაათვალიერეს ლენინგრადის პუშკინის სახელობის თეატრის მსახიობებმა, რომლებიც ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან გასტროლებზე. გუშინ პავილიონი დაათვალიერა 46.000 კაცმა. დღეს გამოფენას დაათვალიერებს საქართველოდან ჩამოსული მეორე ექსკურსია — ყარაიის რაიონის კოლმეურნეები.

ყარა-მურზა

გამარჯვებათა წელიწადი

მზიურ აფხაზეთში, სადაც მდ. ბზიბი ერთვის შავ ზღვას და სადაც შესანიშნავად ხარობს გერანის კულტურა, ყოფილი მემამულის, ვინმე იგუმნოვის ყოფილსავე მამულში მოწყობილია მესამე ინტერნაციონალის სახელობის საბჭოთა მეურნეობა — ერთერთი მოწინავე საბჭოთა მეურნეობა მთელ საქართველოში.

1939 წელს აქ, ამ საბჭოთა მეურნეობაში გამარჯვებათა წლად აცხადებენ: უნდა გაეშენებინათ გერანი 300 ჰექტარზე, თვითეული ჰექტარიდან უნდა მიეღოთ საშუალოდ 20 ტონა გერანის მოსავალი, გამოემუშავებინათ 9072 კილოგრამი გერანის ზეთი, 44,5 ჰექტარზე უნდა გაეშენებინათ მრავალწლიანი ეთეროვან - ზეთოვანი კულტურები, გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება 23 პროცენტით და შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება 6,5 პროცენტით. ასეთი იყო 1939 წლის დავალებები.

იმისათვის, რომ თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად შესაძლებელი ყოფილიყო მუშახელის ნაკლებობის კომპენსირება, რომ თავიდან აეცდინათ გაუპიროვნება და შექმნათ სტიმული შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, გერანის მთელი პლანტაციის ცალკე ნაკვეთებს მიამაგრეს ბრიგადები. ბრიგადის თვითეულმა წევრმა ზუსტად იცოდა თუ სად, როდის და რა უნდა გაეკეთებინა მას, რომ მთელ ბრიგადას გეგმა შეესრულებინა და დანარჩენ ბრიგადებთან შეჯიბრებაში გაემარჯვნა.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სტახანოვური მეთოდებით მუშაობის ფართოდ დანერგვას. მეურნეობის ხელმძღვანელებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს შრომის აღრიცხვის და სტახანოვური შრომის წახალისების საკითხებს. სისტემატურად, ყოველდღე აჯამებდნენ თვითეული მუშის მიერ შესრულებულ სამუშაოს. ძირითად სამუშაოთა ხაზით შემოღებული იყო თვითეული მუშის მაჩვენებლების გამოქვეყნება დაფაზე. გარდა ამისა, დააწესეს გარდამავალი წითელი დროშები ბრიგადებისათვის ცალკე და განყოფილებებისათვის ცალკე, შემოიღეს აგრეთვე პერსონალური წითელი დროშა მისთვის, ვინც ბრიგადაში ყველაზე უკეთ მუშაობდა. ყველა ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი სტახანოველთა ზრდას, მათი შრომის ნაყოფიერების ზრდას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას.

ამის შედეგად, ყველა ძირითადი სამუშაო, რაც მათ გეგმით ჰქონდათ გათვალისწინებული, დროულად შეასრულეს, ხოლო ზოგი ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაო კი შეასრულეს გათვალისწინებულ ვადებზე ადრე. გერანის გაშენება, მაგალითად, ვადაზე 19 დღით ადრე დაამთავრეს.

1939 წელი ამ საბჭოთა მეურნეობაში გამარჯვებათა წლად არის აღიარებული იმიტომაც, რომ ამ წელს პირველად დანერგეს აქ ეთეროვან - ზეთოვანი კულტურები და უკვე მიიღეს პირველი ნაყოფი. მიღებულ იქნა, მაგალითად, ლიმონის სორგოს ზეთი 42,2 კილოგრამი, ლიმონის ევკალიპტის ზეთი 16,7 კილოგრამი, ბაზილიკის ზეთი 69,3 კილოგრამი და გლობულუსის ჯიშის ევკალიპტის ზეთი 56,3 კილოგრამი. ეს ზეთები მეტად ძვირფასი პროდუქტებია და მათ მოპოვებას ამ საბჭოთა მეურნეობაში დიდი პერსპექტივა აქვს.

მესამე ინტერნაციონალის საბჭოთა მეურნეობამ წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ზეთების ჩაბარების 1939 წლის გეგმა (102 პროცენტით); ციტრუსოვანთა ჩაბარების გეგმა შესრულებულია 300 პროცენტით, თაფლის ჩაბარების გეგმა — 114 პროცენტით და ა. შ.

ასევე წარმატებით აქვს მას შესრულებული წინა წლების გეგმებიც და ამიტომ არის მესამე ინტერნაციონალის სახელობის საბჭოთა მეურნეობა 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

დ. ამირანიძე

გამოფენას მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან

თელავი (საქდესი). თელავის რაიონის კოლმეურნეობები და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეეგებნენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას.

სოფ. ნაფარეულის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობამ გერანი, 40 ჰექტარის ნაცვლად, 43 ჰექტარზე გააშენა. ამ ფართობზე უკვე ჩატარებულია პირველი თოხნა. ს. სოლომონიშვილმა, შ. გოლუაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც შარშან 12 ტონის ნაცვლად, ჰექტარზე საშუალოდ 25 ტონა გერანი მიიღეს და ამით მიმდინარე წლის გამოფენის მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, ვალდებულება იკისრეს ჰექტარზე 40 ტონა გერანის მწვანე მასა აიღონ.

სოფ. სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მეღორეობის ფერმამ, რომელიც შარშან მეორე ხარისხის დიპლომით იქნა დაჯილდოებული, თვენახევრის გოჭის წონა გამოფენის გახსნის დღისათვის, 11 კილოგრამის ნაცვლად, 16 კილოგრამამდე აიყვანა.

მეაბრეშუმეობის ნოვატორი, ოქროს მედლით დაჯილდოებული ოსანა აივაზაშვილი შეუდგა შარშანდელ გამოფენაზე ნაკისრ ვალდებულების განაღდებას — მიმდინარე წლის სეზონში აბრეშუმის მოსავლის ექვსჯერ მიღებას და თვითეული კოლოფი თესლიდან 80 კილოგრამი პარკის მიღებას. აბრეშუმის ჭიის პირველი კვება მაისის პირველ რიცხვებში დაიწყო. ჭია უკვე ემზადება პარკის ასახვევად.

სოფ. აკურის კოლმეურნეობა, რომელიც გამოფენაზე ფართო მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი, წელს 38 ჰექტარ ახალ ვენახს აშენებს; ვაზის მყნობა მან ვადაზე ადრე და გადაჭარბებით დაამთავრა. განთქმული მყნობელი მ. კასრელიშვილი მყნობის დღიურ დავალებას 300 პროცენტით ასრულებდა. იგი წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ ნამყენმა 50 პროცენტის ნაცვლად 85 პროცენტით იხაროს.



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, უკრაინის სსრ პავილიონი.

გამოფენაა მოსკოვში

გამოფენაა მოსკოვში
სიამით ვეხმაურებით
ავავსოთ ჩვენი ნაშრომით
ავტო, მანქანა, ურემი!
მოსკოვს წავიღოთ ეს ხვავი,
სად გვხვდება სიხარულია
ბელადს ვაჩვენოთ—ვახაროთ,
მტერს გაუხეთქოთ გულია.
შრომის ვაჟკაცი გულადი,
სამშობლოს მადლის მთოველი —
გამოფენაზე დაგვხვდება —
მრავალი სტახანოველი;
იქ შეამკობენ მის სახელს
დიდებითა და ქებითა,
ვინც მორთო ჩვენი ქვეყანა
უჭკნობი ყვავილებითა,
ვინაც კომუნიზმს აშენებს
დიდი ბელადის გზნებითა,
ვინაც ახარებს მშრომელებს
ცხოვრების განახლებითა.
ეს გამოფენა მოსკოვში
ძვირფასი დასაწყისია;
ვინც მამაცია შრომაში,
დღეს გამარჯვებაც მისია;
ლენინის ორდენს მიიღებს,
ვინაც იმისი ღირსია!

ისევ მიტაცებს მინდვრები,
ისევ ფიქრებში წაველი, —
დავხედე მწვანე ჯეჯილებს
ზღვა ნახნავებში შაველი:
ბიბინებს ჩვენი მინდვრები,
ყვავილობს ჩვენი მთა-ველი,
ტორტმანობს პურის თავთავი
მას როდი სწვდება მტკაველი.

შეჯიბრებაში ბიჭები
რომ გაიტანდნენ ლელოსა,
მე ვიცი — ჯილდო მაღალი
დარჩება საქართველოსა,
გამარჯვებულნი წავლიან,
შეისრულებენ წადილსა
ნეტავი იმ დროს მათთან მქნა
როცა ნახავენ სტალინსა.

ვეტყოდი ბელადს, რაც მინდა,
ხალხი ისმენდა ყურითა:
—აივსო ჩვენი ქვეყანა...
დოვლათით, თეთრი პურითა!
კოლექტიური წესწყობით
გამრავლდა ძროხა-ცხვარია,
გადაიჭიმა მინდვრებში
უზარმაზარი ზვარია;
ზვრებს, ყანებს მოსულს
ზღვასავით
უბერავს ნია-ქარია.
იცოცხლე, დიდო ბელადო,
ხალხს შენით გაგვიხარია!

გიო. კანანელი

წნორი, სიღნაღის რაიონი.

პირველი ჩანაწერები გამოფენის დამთვალიერებელთა წიგნებში

მოსკოვი, 16 მაისი (საქდესი). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნებში შეტანილია პირველი ჩანაწერები. ეს ჩანაწერები გამოხატავენ საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური მიწათმოქმედების ახალი წარმატებებისათვის სიხარულისა და სიამაყის გრძნობებს. კოლმეურნეები, აგრონომები, სტახანოველები მადლობას სწირავენ პარტიასა და მთავრობას იმისათვის, რომ მათ უფლება მიენიჭათ მონაწილეობა მიიღონ სარეკორდო მოსავლის ოსტატობის ამ შესანიშნავ სკოლაში.

საბჭოთა კავშირის გმირები გ. ა. ბატარშინი, ი. დ. ჩერნოპიატკო, პ. ფ. ტერეშკინი სწერენ:

— ჩვენ დავათვალიერეთ ორდენოსანი თათრეთის რესპუბლიკის პავილიონი. აქ ნაჩვენებია სოფლის მეურნეობის გრანდიოზული წარმატებანი, მრეწველობის, კულტურისა და ხელოვნების ზრდა. გული ჰხარობს, როდესაც ეცნობი ისეთ მოწინავე მეურნეობებს, როგორიცაა კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა, კოლმეურნეობები „ბორბა ზა ოქტიაბრ“ და „ბუდუშჩაია კაზან“. გინდა სთქვა: იმუშავეთ ყველამ ისე, როგორც სოციალისტური მინდვრების სტახანოველები მუშაობენ, გახსოვდეთ, რომ თქვენ სჭედთ თქვენს საკუთარ ბედნიერებას...

კიროვოგრადის ოლქის (ყაზახეთის სსრ) სასოფლო-სამეურნეო არტელ „კიმის“ კოლმეურნე ქალმა ევდოკია სტებლინამ გამოსთქვა სურვილი, რომ ჩიგირინის მთელი რაიონი, საიდანაც იგი ჩამოვიდა, გამოფენის მონაწილე გახდეს.

— შეხედეთ, — სწერს იგი, — რა სიუხვეა ირგვლივ. საკმარისია ჩვენ ყველამ ვისურვოთ და ყველაფერი უხვად იქნება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ კი უნდა ვისურვოთ, მოვალენი ვართ ვისურვოთ, ვინაიდან შრომა ყველა ჩვენგანისათვის არის ღირსების, სიმამაცისა და გმირობის საქმე...

ექსკურსანტი ამხ. ვ. ერემეევი, რომელიც შარშან გამოფენის გახსნას დაესწრო, სწერს:

— რა ბევრი რამ არის აქ ახალი! ყველა პავილიონი უკეთესი გამხდარა, ექსპონენტები და ექსპონატები გაცილებით მეტია. ეს მოწმობს ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ძალასა და ძლევამოსილებას. ათასობით ადამიანი აქ ისწავლის, თავიანთ რაიონებში დაბრუნების შემდეგ ისინი ეცდებიან მიაღწიონ კიდევ უფრო მაღალ მოსავალს.

— საქართველოს პავილიონი,—ჩასწერს თბილისის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, — ცოცხლად მოგვაგონებს ჩვენი რესპუბლიკის შესანიშნავ ბაღებს. წელს ჩვენ 50 ჰექტარზე გავაშენეთ ხეხილი, ჩვენს მაგალითს ათობით სხვა კოლმეურნეებმა მიჰბაძეს. გავეცანით რა მოწინავე მეურნეობებს, მთელი სულითა და გულით ვამბობთ: მოდი, გავმართოთ შეჯიბრება იმისათვის, რომ არცერთი კოლმეურნეობა არ დარჩეს უბაღოდ!

ჩკალოვის ოლქის კოლმეურნეობა „ზაპოროჟიეს“ წევრებმა ინახულეს რა „შორეული აღმოსავლეთის“ პავილიონი, ჩასწერეს:

— ყველაფერი კარგია, მაგრამ ვიცით, დარწმუნებული ვართ, რომ გაისად კიდევ უკეთესი იქნება...

გამოფენა ციფრებში

★ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სამარშრუტო რუკაზე გამოფენის მნახველები წელს ნახავენ წრეებითა და ნიშნებით აღნიშნულ ბევრ ახალ შენობას. კოლმეურნეობათა მოედანზე აღმართულია ყაზახეთის პავილიონის ოცდახუთმეტრიანი კოშკი, რომლის შესავალშიც დგას ჯამბულის ქანდაკება. ხელახლა რეკონსტრუირებულია ნორჩ ნატურალისტთა პავილიონი. პირველად გახსნილია ქიმიზაციის, გადასახლება-დასახლების, სოფლად თავდაცვითი მუშაობის პავილიონები. აგებულია საზოგადოებრივი კვების ბევრი ახალი პავილიონი. გამოფენის უზარმაზარი ქალაქი მოსკოვის მახლობლად ითვლის ახლა 58 ძირითად და რამდენიმე ასეულ წვრილ პავილიონს.

★ გამოფენას წელს შეემატა ახალი მოასფალტებული მაგისტრალები, ხრეშიანი გზები და ბაღის ხეივნები. გზების ქსელის საერთო ფართობი გადიდდა 450.000 კვადრატულ მეტრამდე.

★ გამოფენის 14 ელექტროქვესადგური მოედნებს, ხეივნებსა და პავილიონებს აძლევს 13.000 კილოვატ ენერგიას. შიგნითი ელექტროგაყვანილობის ქსელმა მიაღწია 1.050 კილომეტრს, ელექტროწერტების რაოდენობამ—80 ათასს

★ 1940 წლის გამოფენის გაფორმებაზე მუშაობდა მხატვრების, არქიტექტორების, მოქანდაკეების ორათასიანი კოლექტივი, თუ არ ჩავთვლით ასობით და ათასობით ხალხურ ოსტატებს, რომლებმაც სიყვარულით და ლამაზად მორთეს თავიანთი პავილიონების დარბაზები, სტენდები და ექსპონატები. გამოფენის გახსნისათვის შესრულებულია 43 ათასი კვადრატული მეტრი არქიტექტურულ-მხატვრული სამუშაო, 106 მოცულობითი ქანდაკება, ათობით ბარელიეფი და გორელიეფი, დიდი და პატარა ფერწერითი ტილო, მრავალი მაკეტი და მოდელი.

★ შემოდგომაზე და გაზაფხულზე გადაღებულ იქნა 25 ათასზე მეტი ფოტოსურათი, რომლებიც ასახავენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების საწარმოო ცხოვრებას, კულტურასა და ყოფაცხოვრებას. ფოტოგრაფმა ფედოტოვმა, ასრულებდა რა გამოფენის დავალებას, გაიარა 8.000 კილომეტრი მატარებლით, 2.500—ავტომობილით, 700—გემით და 1.000 კილომეტრამდე—ცხენებით.

★ მიმდინარე წელს პავილიონის სტენდებზე ნაჩვენებია 7.000 ექსპონენტის მიღწევები—ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1939 წელს. 40 სტენდზე მეტი უკავიათ მთელ რაიონებს, რომლებიც იღებენ მარცვლეულის, ბამბის, ჭარხლის, სელის სტალინურ მოსავალს და რომლებმაც მიაღწიეს მეცხოველეობის მაღალ პროდუქტიულობას. შარშან სტენდები გვიჩვენებდნენ მხოლოდ 6 რაიონის მიღწევებს.

★ მოსკოვში გამოფენაზე ჩამოტანილია ბოსტნეული პროვიდენიის ბუხტიდან და იაკუტიის ხორბალი, კიზიურინის ვაშლი მინუსინსკიდან და შვრია მსოფლიოს სახურავიდან—პამირიდან, აფხაზეთის ქინაქინის ხე და შუა აზიის შაქრის ლერწამი, ბრინჯი კურსკიდან და ტაჯიკური ლეღვი, ანანასი სოჭიდან, ყირიმული ზეთისხილი, ბროწეული, გრეიპფრუტი, ნუში. სტენდებთან თვითეულ პავილიონში გამოფენილია უზარმაზარი ვაზები ხილითა და კენკრით, მძიმე ძნები, მარცვლეულის ზვინები, ბამბის შეკრულები, საზამთრო და ნესვი, ტყავეული, მატყლი, ქსოვილები. გასული წლის გამოფენაზე იყო 45.000 ნატურალური ექსპონატი, 400 ტონა საერთო წონისა, ახლა შემოტანილია 5-ჯერ მეტი—2.000 ტონა.

★ გამოფენას აქვს სუბტროპიკული და ყვავილების ორანჟერეიები, დიდი სათბურები, მარცვლეულის, ჭარხლის, ბამბის, სელის მინდვრები, ჩაის, ბრინჯის და თამბაქოს უმდიდრესი პლანტაციები. გამოფენის საექსპონატო ნათესებზე განლაგებულია სხვადასხვა კულტურების 4.259 სხვადასხვა ჯიში. მარტო საშემოდგომო ხორბალი და ჭვავი (გასულ წელს ესენი არა ყოფილა ნაჩვენები) წარმოდგენილია 240 ჯიშისა.

★ გამოფენის ბაღებში დარგულია 19 ათასი ძირი ხეხილი და დეკორატიული ხე—ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვანი და საუცხოო ფლორის წარმომადგენლები. 3,5 მილიონი ყვავილი—ვარდი, გეორგინა, ფლოქსი, კანა, გლადიოლუსი, ტიტა—ფერად-ფერად ხალიჩებად გადაშლილია გამოფენის მთელ ტერიტორიაზე.

★ გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა გამოფენაზე ცხოველთა სამყარო. ბოსლებში, საჯინიბოებში, საღორეებში, ფარეხებში, საკურდღლეებში და საქათმეებში, ვოლიერებსა და საძოვრებზე წარმოდგენილია 2.500 სული საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო ცხოველი და თითქმის ამდენივე ფრთა ფრინველი.

★ პირუტყვის მომსახურებისათვის გამოფენის ფერმებზე მოსკოვში მივლინებულია 600 სტახანოველი მეცხოველე, ათობით ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი, ვეტფერშალი.

★ გამოფენის მომქმედ საწარმოთა რიცხვში შევიდა მწვანე თეატრი, რომლის მშენებლობა წელს დამთავრდა. გამოფენის სანახაობანი—ცირკი, საკონცერტო ესტრადა, მწვანე თეატრი და სხვ.—იტევენ ერთსა და იმავე დროს 15.000 მაყურებელს. გამოფენაზე ყოველდღე მუშაობს 2 კინოთეატრი და 7 მოძრავი კინო, რომლებიც სურათებს დღის სინათლეზე უჩვენებენ.

★ საზოგადოებრივი კვების 6.000 გამყიდველი და მუშაკი, 680 სავაჭრო პუნქტი—რესტორანი, კაფე, სასაუზმე, საჩაიე, სახინკლე, კიოსკი, მოძრავი ფარდული და ხელზე დამტარებელი მომსახურებას გაუწევს გამოფენის მნახველებს.

გეგმის 101.3 პროცენტი

საქართველოს კოლმეურნეობები სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას აღნიშნავენ დიდი გამარჯვებით ტუნგოს ფართობის შემდგომი გადიდების საქმეში. გადაჭარბებით არის შესრულებული ტუნგოს რგვის ამა წლის საგაზაფხულო გეგმა. გაშენებულია 760 ჰექტარი ტუნგოს პლანტაცია, რაც გეგმის 101,3 პროცენტს შეადგენს. ყველაზე მეტი ტუნგოს პლანტაცია — 436 ჰექტარი გაშენებულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, რომელმაც გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა. დავალება 110 პროცენტით შეასრულეს აჭარის ასს რესპუბლიკამ და მახარაძის რაიონმა. (საქდესი).

სიანი თურქთა რაზმი, თვითონ კი 7 ათასი რუსი ჯარისკაცი ჰყავდა და 18 ათასი ავსტრიელი. სუვოროვმა გაბედულად მიიტანა იერიში თურქების წინააღმდეგ და პირადად ხელმძღვანელობდა მედგარ ბრძოლას 10 საათის განმავლობაში.

თვენახევრის შემდეგ იმავე რაიონში სუვოროვი ამარცხებს თურქთა 100-ათასიან არმიას მდინარე რიმნიკზე, თვითონ კი ოთხჯერ ნაკლები ძალები ჰყავდა.

მაგრამ კიდევ უფრო ბრწყინვალე გამარჯვება იყო მდინარე დუნაიზე მდებარე ძლიერი ციხის იზმაილის აღება. იზმაილს იცავდა 42.000 თურქი, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ. სუვოროვს მხოლოდ 30 ათასი კაცი ჰყავდა, მათ შორის 8 ათასი ცუდად შეიარაღებული და სუსტად გაწვრთნილი ყაზახი. იზმაილის ციხე მიუვალად ითვლებოდა. სუვოროვის მოშურნეები, და მათ შორის დუნაის არმიის სარდალი პატიომკინი, გულღვარძლიანად ელოდნენ, რომ მოუსვენარი გენერალი ბოლოს კისერს მოიგრეხდა. მაგრამ სუვოროვმა ფიცი დასდო, რომ აიღებდა მიუვალ იზმაილს და აიღო იგი! თუ რა საშინელი ბრძოლა იყო იზმაილის აღების დროს, სჩანს მოკლულებისა და დაჭრილების რიცხვით: თურქებს მოუკლეს და დაუჭრეს 35 ათასი კაცი, ხოლო რუსებს —10 ათასი.

მაგრამ თვით იზმაილის აღებამაც კი არ მოუტანა სუვოროვს დამოუკიდებელი სარდლობა, რაც მისთვის ასე სასურველი იყო. პატიომკინთან წაჩხუბებამ სუვოროვის ფაქტიური გადაყენება გამოიწვია. სუვოროვმა მიიღო საპატიო თანამდებობა „პრეობრაჟენსკის პოლკის პოდპოლკოვნიკისა“; ამ პოლკში პოლკოვნიკად ითვლებოდა... დედოფალი ეკატერინე II, და ფაქტიურად სუვოროვი ორი წლის განმავლობაში უსაქმოდ იყო.

მაგრამ მალე სუვოროვი კვლავ საერთო ყურადღებას იპყრობს. 1794 წელს დაიწყო ახალი ომი პოლონეთთან. ამ ომში სუვოროვმა, რეპნინის არმიის რაზმის სათავეში მდგომმა, რამდენჯერმე დაამარცხა პოლონელი კონფედერატები და 1794 წლის 24 ოქტომბერს იერიშით აიღო ვარშავის გამაგრებული გარეუბანი პრაღა, რის შემდეგ პოლონეთის სატახტო ქალაქი დანებდა.

მხოლოდ ახლა, 64 წლის სუვოროვი იღებს ფელდმარშლის ხარისხს და ინიშნება ჯარების სარდლად ჯერ პოლონეთში და შემდეგ სამხრეთ რუსეთში. მაგრამ მალე იმპერატორმა პავლე 1-ლმა, რომელმაც შესცვალა ტახტზე გარდაცვლილი ეკატერინე II, დაინახა, რომ მოხუცი ფელდმარშალი არა თუ არ იზიარებს პრუსიული სისტემით და უსულო პლაც-პარადული განსწავლით გატაცებას, არამედ ჰბედავს და პირდაპირ ილაშქრებს მის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ განარისხა გვირგვინოსანი თავნება. 1797 წლის 6 თებერვალს გამოვიდა მეფის ბრძანებულება სუვოროვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ მუნდირის ტარების აკრძალვით, ხოლო იმავე წლის 22 აპრილს შეურაცხყოფილი და პატივაყრილი სარდალი გადაასახლეს საგვარეულო მამულში, სოფელ კონჩანსკოეში.

თითქოს არა მარტო სამხედრო კარიერას, არამედ სუვოროვის ცხოვრებასაც კი ბოლო მოეღო. მაგრამ მან უკანასკნელად და არაჩვეულებრივი ბრწყინვალებით გამოაჩინა თავისი სამხედრო გენიოსობის მთელი ძლიერება 1799 წელს. ამ წელს ევროპის სახელმწიფოთა კოალიციამ (ინგლისმა, ავსტრიამ და რუსეთმა) დაიწყო ომი ფრანგების ბატონობის წინააღმდეგ იტალიაში, რომელიც ნაპოლეონ ბონაპარტმა დაიპყრო. ჩრდილოეთ იტალიაში ფრანგების წინააღმდეგ უნდა ემოქმედნათ ავსტრია-რუსეთის გაერთიანებულ ძალებს. საჭირო იყო ისეთი სარდალი, რომელიც შესძლებდა ამ ძალების შეთაურობას და დაამარცხებდა ფრანგების ჯარს, რომელიც შიშის ზარს სცემდა მთელს რეაქციულ ევროპას. არჩევანი სუვოროვზე შედგა, მიუხედავად იმისა, რომ პავლე 1-ლი ეწინააღმდეგებოდა ამას, მაგრამ იგი იძულებული გახდა დაეთმო ლონდონისა და ვენის ზეგავლენისათვის.

1799 წლის 4 თებერვალს სუვოროვმა მოულოდნელად მიიღო მიპატიჟება, გამოცხადებულიყო პეტერბურგში, ხოლო 11 თებერვალს იტალიაში გაემგზავრა. ამ მომენტიდან იწყება თუმცა ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი და სახელოვანი დრო დიდი სარდლის ცხოვრებაში.

როგორც იქნა, სუვოროვს ეღირსა საკმაოდ დიდი ძალების (დაახლოებით 50 ათასი კაცის) დამოუკიდებელი სარდლობა. პავლემ გამგზავრებისას პირდაპირ უთხრა მას: „იომე, როგორც გინდა“. მაგრამ ასე როდი შეხედეს საქმეს ვენაში. ბრმად მისდევდა რა ფრიდრიხის კლასიკურ ტრადიციებს, ვენის სასახლეს უნდოდა თვითონ ეხელმძღვანელნა ოპერაციებისათვის იტალიაში. ვენის ეს „ხელმძღვანელობა“ ფაქტიურად მხოლოდ ხელს უშლიდა სუვოროვს, ხოლო კამპანიის დასასრულს პირდაპირი ღალატის ხასიათიც კი ჰქონდა.

3 აპრილს სუვოროვი ჩავიდა რუსების ჯართან ვერონაში. სუვოროვი დანიშნული იყო აგრეთვე ავსტრიის არმიის გენერალ-ფელდმარშლად და საკვირველი ენერგიით მოჰკიდა ხელი ავსტრიის ნაწილების საკუთარ ყაიდაზე გადამზადებას. ხუთი თვის განმავლობაში სამოცდაათი წლის ფელდმარშალი უფრო მცირე ძალებით ზედიზედ ამარცხებს საფრანგეთის გენერლებს მოროს, მაკდონალდსა და ჟუბერს, ბრწყინვალედ იმარჯვებს მდინარე ადასთან, მდინარე ტრებიასთან და ნოვისთან; ამავე ხნის განმავლობაში მისი არმია იღებს სამ ციხე-სიმაგრეს — ბრეშიას, ტურინსა და მანტუას და იკავებს ქალაქ მილანს. აგვისტოს დამლევისათვის მთელი ჩრდილოეთი იტალია გაწმენდილი იყო ფრანგებისაგან; ამავე დროს იტალიის სამხრეთით ადმირალ უშაკოვის რუსეთის ესკადრის დესანტები იკავებენ ნეაპოლსა და რომს. ისე სჩანდა, თითქოს საფრანგეთის ბატონობას ბოლო ეღებოდა იტალიაში, მით უმეტეს, რომ ნაპოლეონი ამ დროს ეგვიპტეში იმყოფებოდა.

მაგრამ კამპანიის ესოდენ გადამჭრელი შედეგები სრულებით არ შედიოდა ვენის მმართველთა ანგარიშში, რომლებიც ახლა იმდენად იმისათვის კი არ ზრუნავდნენ, თუ როგორ განედევნათ ფრანგები ჩრდილოეთ იტალიიდან, არამედ იმისთვის, თუ როგორ გაეძევებინათ იქიდან მოსალოდნელი კონკურენტები — რუსები. და აი, მოიფიქრეს გამცემლური, ვერაგული გეგმა: შვეიცარიის ალპებში რუსეთის არმიის შეტყუებისა, რათა იქ, ფრანგების წინააღმდეგ მარტო დარჩენილნი განადგურებული ყოფილიყვნენ ფრანგების მიერ.

დახმარების დაპირებით მოტყუებულმა მიიღო რა ბრძანება ავსტრიელებთან შეერთების შესახებ გენერალ მასენას ფრანგთა არმიის წინააღმდეგ მოქმედებისათვის, სუვოროვმა, რომელსაც დაახლოებით 22 ათასი კაცი ჰყავდა, სექტემბრის დამდეგს დაიწყო ლაშქრობა მაღალმთიან შვეიცარიაში.

ფრანგებს ორჯერ მეტი ჯარი ჰყავდათ. მათ წინასწარ დაეკავებინათ ხელსაყრელი პოზიციები ყველა უმთავრეს უღელტეხილზე და იმედი ჰქონდათ მოემწყვდიათ სუვოროვი და გაენადგურებინათ მისი ძალები. მიუხედავად ამისა, სუვოროვის არმიამ შეასრულა თავისი ამოცანა. 17-დღიანი გადასვლა ალპებზე განუწყვეტელი ბრძოლებით სამუდამოდ ჩაწერილია მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში, როგორც ერთერთი უბრწყინვალესი ფურცელი. ენგელსმა ამ ლაშქრობას უწოდა „ყველაზე შესანიშნავი ლაშქრობა თანამედროვე ალპიურ გადასვლათა შორის.“*)

გამცემლური გეგმა ავსტრიელებისა, რომელთაც არც ერთი თავიანთი ვალდებულება არ შეასრულეს, ჩაიშალა. დაუღალავი სუვოროვი უკვე შემდგომი ოპერაციების გეგმას სახავდა, მაგრამ ომი გათავდა. პავლე მიხვდა, რომ რუსები სხვის საქმეს აკეთებდნენ და გადასწყვიტა გამოეწვია თავისი არმია.

1800 წლის 3 თებერვალს ავადმყოფი და დატანჯული სუვოროვი (იგი თავის სიცოცხლის განმავლობაში 8-ჯერ იყო დაჭრილი) არმიის სარდლობას სხვას აბარებს და რუსეთში ბრუნდება. დამთავრდა ამ საკვირველი ადამიანის სარდლობის გზა. იგი დაჯილდოებული იყო პატივისცემის გარეგნული ნიშნებით — რუსეთის ჯარების გენერალისიმუსის სახელწოდებით (ასეთი სახელწოდება მანამდე ჰქონდა მხოლოდ მენშიკოვს), იტალიის უგანათლებულესი თავადის ტიტულით და ორი იმპერიის გრაფობით, ყველა რუსული და მრავალი უცხო ორდენით და სხვა.

მაგრამ დიდი მოხუცი ამ ქვეყანას სტოვებდა გულგატეხილობის მწარე გრძნობით. სუვოროვის შესახებ ლაპარაკობდა და მით აღტაცებული იყო მთელი ევროპა; თვით მტრებიც ღრმად სცემდნენ პატივს მას. მაგრამ შინ, რუსეთში მას თავნება იმპერატორის პავლეს მხრივ ახალი დაცინვა და ახალი სასჯელი მოელოდა.

1800 წლის 6 მაისს გენერალისიმუსი ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვი გარდაიცვალა პეტერბურგში. მის კუბოს ალექსანდრე ნევლის ლავრის სასაფლაოზე მიაცილებდა უამრავი ხალხი. გარდაიცვალა რუსეთის სამხედრო ხელოვნების უნიჭიერესი და სავსებით თავისებური წარმომადგენელი, სარდალი, რომელსაც 40 წლის საბრძოლო პრაქტიკის განმავლობაში არცერთი დამარცხება არ განუცდია. მოკვდა გენერალი აზნაური, მაგრამ ამავე დროს ისეთი ადამიანი, რომელიც უმტკიცესად იყო დაკავშირებული ჯარისკაცთა მასებთან, რომელსაც მხურვალედ უყვარდა თავისი ხალხი და რომელიც გულწრფელად უყვარდა ხალხს.

სუვოროვი მოკვდა, მაგრამ მისი ხსოვნა ცოცხლობს, ხოლო მისი ტრადიციები ერთნახევარი საუკუნის შემდეგ ახლაც ცოცხალია საბჭოთა კავშირის წითელ არმიაში.

◆

---

*) ენგელსი. რჩეული სამხედრო თხზულებანი, ტ. I, გვ. 53.

კომუნისტი

შაბათი, 18 მაისი, 1940 წ. № 118 (5814)

ომი დასავლეთ ევროპაში

16 მაისის საომარი მოქმედების დღიური

ჰოლანდიის არმიის კაპიტულაციითა და როტერდამსა, ჰააგასა და ამსტერდამში გერმანიის ჯარის შესვლით დამთავრდა დიდი საომარი ოპერაციების პერიოდი ჰოლანდიაში.

ამ ქვეყნის ცალკეულ რაიონებში ჰოლანდიის ჯარის ნაწილების წინააღმდეგობას უკვე არ შეუძლია ფრონტის ჰოლანდიის უბანზე შექმნილი მდგომარეობის შეცვლა. გერმანიის ჯარმა წინანდელი წარმატებითი ბრძოლების შედეგად დაიკავა ჰოლანდიის დიდი ნაწილი და გამოვიდა საფრანგეთ-ბელგიის საზღვარზე, რომელიც რამდენიმე ადგილას კიდეც გადალახა.

ბრძოლების-ცენტრი გადადის ბელგიის ტერიტორიაზე, ნაწილობრივ საფრანგეთის ტერიტორიაზე ანტვერპენ-ნამიურ-სედანის რაიონში, სადაც ორივე მხრიდან მონაწილეობას იღებენ მოტორიზებული ნაწილები და ავიაცია.

მოკავშირეთა ძალები ცდილობენ შეაჩერონ შეტევაზე გადასული გერმანიის ჯარი და არ დაუშვან მისი გასვლა ბელგიის სანაპიროზე და შემდგომი წინსვლა საფრანგეთის საზღვრებისაკენ.

15 მაისის განმავლობაში განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა ნამიურ-სედანის უბანში მდინარე მაასზე.

რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ამ უბნის წინააღმდეგ იერიში მიაქვთ გერმანიის ჯავშანსატანკო დივიზიებს. საფრანგეთის სარდლობა ზომებს იღებს, რათა შეაჩეროს მათი წინსვლა. სედანის სამხრეთით, როგორც თვით ფრანგები აღიარებენ, გერმანიის ჯარმა შესძლო ფრანგების პოზიციის გარღვევა სამ ადგილას. საფრანგეთის ქვეითი ჯარის ნაწილები, რომლებიც კონტრიერიშზე გადავიდნენ, მძიმე ტანკების დახმარებით ცდილობდნენ აღედგინათ მდგომარეობა სედანის სამხრეთით. მაგრამ, გერმანიის ცნობების თანახმად, ეს კონტრშეტევა უშედეგოდ დამთავრდა. ნამიურ-სედანის უბანზე ბრძოლა გრძელდება.

ანტვერპენსა და ნამიურს შორის ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ გერმანიისა და ინგლისის ჯარები. აქ მოკავშირეთა ჯარების ნაწილები, რომლებიც ანტვერპენისა და ნამიურის სიმაგრეებს ეყრდნობიან, წინააღმდეგობას უწევენ გერმანელთა შეტევას.

ის გარემოება, რომ ორივე მეომარმა მხარემ ანტვერპენ-ბრიუსელის რაიონში და მდინარე მაასის საზღვარზე თავი მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს, მათ შორის ჯავშანსატანკო ნაწილებსაც, მოწმობს, რომ აქ მოსალოდნელია დიდი ბრძოლა, რომლის შედეგზედაც იქნება დამოკიდებული ფრონტის ბელგიის უბანზე წარმოებული საომარი მოქმედების შედეგი.

15 მაისის განმავლობაში მნიშვნელოვან აქტივობას იჩენდნენ ინგლის-საფრანგეთის საჰაერო ძალები: მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმის ობიექტებს წარმოადგენდნენ გერმანიის სამრეწველო ცენტრები—ჰესენი, ახენი, აგრეთვე მდინარე მაასზე გერმანიის ჯარის გადასასვლელი პუნქტები და კოლონები. ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აგრეთვე გზატკეცილებსა და რკინიგზებს გერმანიის ტერიტორიაზე მდინარე რაინის აღმოსავლეთით, რითაც ცდილობდა შეენელებინა გერმანიის ახალი ჯარის სვლა ბელგიისა და ჰოლანდიის საზღვრებისაკენ.

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს გადმოცემით, დასავლეთ გერმანიის ქალაქებში მოკავშირეთა ავიაციის მოქმედებას სამხედრო ობიექტებისათვის ზიანი არ მიუყენებია.

გერმანიის ავიაცია განაგრძობდა იერიშის მიტანას მოკავშირეთა სალაშქრო კოლონებზე, ჯარის თავმოყრის რაიონებსა და აეროდრომებზე, აგრეთვე თავს დაესხა მათს გემებს, რომლებიც ჰოლანდიის სანაპიროსთან მიმოდიოდნენ. ნორვეგიაში, ნარვიკის რაიონში, მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა (საქდესი).

გერმანიის ცნობა საომარი მოქმედების შესახებ

ბერლინი, 16 მაისი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს გერმანიის ჯარი შევიდა ამსტერდამსა და ჰააგაში. მალე ამ ქვეყანაში აღდგენილ იქნება წესრიგი. უახლოეს დღეებში გერმანიის ჯარის ნაწილი გადაყვანილ იქნება ჰოლანდიიდან და გაიგზავნება იმ დიდი ბრძოლების რაიონში, რაც უკვე დაიწყო ქ. დილის ხაზთან ანტვერპენ-ნამიურის რაიონში და რაც, ალბათ, უახლოეს დღეებში უმაღლეს წერტილს მიაღწევს. ამ ხაზზე წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ ბელგიელთა, ინგლისელთა და ფრანგთა დიდი ძალები. აქ ერთმანეთს შეეტაკება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული რამდენიმე მილიონი ჯარისკაცი. ბელგიის შემდგომი ბედი მეტწილად დამოკიდებულია ამ უდიდესი ბრძოლების შედეგზე. ფრანგებმა და ინგლისელებმა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელებმა, წინადადება მისცეს უკანდახეულ ბელგიელებს შეინარჩუნონ ქ. დილის ხაზი, ვინაიდან მათ უნდოდათ ხელი შეეშალათ გერმანიის ჯარის სწრაფი წინსვლისათვის ბელგიის სანაპირომდე, რაც გააუმჯობესებდა უშუალოდ ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებს. გერმანიის ჯარის წინსვლა დღემდე დასახული გეგმის თანახმად ხორციელდებოდა. ბელგია - საფრანგეთის საზღვარზე ჟივეს სამხრეთით გერმანიის ჯარი წინ მიიწევს ნელა, მაგრამ მტკიცედ. გერმანიის იმ ჯარის ამოცანას, რომელიც მარცხენა ფლანგზე მოქმედებს, წარმოადგენს თავიდან აიცილოს საფრანგეთის დიდი ძალების საფლანგო დარტყმა ნამიურის მხრიდან. ბევრ პუნქტში ფრანგები შეეცადნენ შემოჭრილიყვნენ გერმანიის პოზიციებზე. ამასთან პირველად იქნა გამოყენებული საფრანგეთის ყველაზე მძიმე ჯავშნიანი ტანკები. ქვეითმა ჯარმა და ავიაციამ მოიგერია საფრანგეთის მოძრავი სიმაგრეების თავდასხმა.

მდგომარეობა დასავლეთ ფრონტზე

ბერლინი, 15 მაისი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, 13 მაისს გერმანიის ავიაციამ მტრის 150-მდე თვითმფრინავი ჩამოაგდო. ძირითადი დარტყმა ამ დღეს მიმართული იყო მაასის სექტორის წინააღმდეგ, საფრანგეთის ტერიტორიაზე, სადაც დამარცხებულ იქნა თავმოყრილი ჯარი, ჯავშანსატანკო ნაწილებისა და ბატარეების პოზიციები და საბრძოლო მასალების საწყობები, ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე მისავალი გზები. გერმანიის ავიაცია ახორციელებდა თავის დარტყმას მოპიკირე ყუმბარმშენებისა და გამანადგურებლების ესკადრილიების მაღალი და შორეული გაფრენებით რაც განუწყვეტლივ სწარმოებდა. გერმანიის ავიაციის ამ მოქმედებათა შედეგად მტრის ავიაციამ პირველი ოთხი დღის განმავლობაში დაჰკარგა 1200-მდე თვითმფრინავი.

უკვე 13 მაისს განხორციელებული იყო გერმანიის იმ ჯარის შეერთება როტერდამის რაიონში გადასხმულ გერმანიის საჰაერო დესანტებთან, რომელიც სამხრეთ ჰოლანდიით მიიწევდა.

შემდეგ აღნიშნულია, რომ გერმანიის ჯარი გამაგრდა აგრეთვე სამხრეთ ბელგიაში. გერმანიის ჯარი წარმატებით მიიწევს წინ საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე, საარბრიუკენის სამხრეთით და ცვაიბრიუკენის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამასთან ამ ოპერაციების დროს წამოყვანილია რამდენიმე ასეული ტყვე.

გერმანიის პრესა გერმანიის ჯარების მოქმედების შესახებ დასავლეთის ფრონტზე

ბერლინი, 16 მაისი (საქდესი). მთელი გერმანიის პრესა, აგრეთვე გერმანიის პოლიტიკური წრეები აღნიშნავენ გერმანიის არმიის წარმატებას დასავლეთის ფრონტზე. პირველ რიგში აღნიშნავენ ჰოლანდიის კაპიტულაციას.

ბიულეტენი „დინსტაუს დოიჩლანდი“ სწერს: „ჰოლანდიის კაპიტულაციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჰოლანდიის ფრონტი, რომელიც დიდ მანძილზე იყო გადაჭიმული და სადაც გერმანიის მრავალრიცხოვანი ჯარი მოქმედებდა, ამჟამად ფაქტიურად ლიკვიდირებულია. ამის წყალობით განთავისუფლდნენ ჯარის დიდი შენაერთები, რომლებიც შეიძლება გადაყვანილ იქნან სხვა პოზიციებზე. ეს, უწინარეს ყოვლისა, საშუალებას იძლევა გავაძლიეროთ მიწოლა ჩრდილოეთ ბელგიის წინააღმდეგ. ამრიგად, გერმანიის მარჯვენა ფლანგი, რომელიც ოდესღაც დიდ როლს ასრულებდა ფელდმარშალ შლიფენის გეგმებში, ახლა სულ სხვანაირად გამოიყურება, ვიდრე 1914 წელს“.

სედანის რაიონში მომხდარი ბრძოლების გამო გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ სწერს: „აქამდე მაჟინოს ხაზი წარმოადგენდა ერთერთ არსებით ფაქტორს დასავლეთის სახელმწიფოების გეგმაში, რომელიც მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ. დღეს სულ სხვანაირი მდგომარეობა შეიქმნა, ვიდრე ის, რისი იმედიც ჰქონდათ დასავლეთის სახელმწიფოებს ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ“.

გერმანიის წრეებში დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ სედანის რაიონში მომხდარ ოპერაციებს. ამ რაიონში გერმანელთა მეწინავე ნაწილები 12-15 კილომეტრ მანძილზე შეიჭრნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე. სედანის მიდამოებში სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა საფრანგეთის მექანიზებულ ნაწილებსა და გერმანიის სატანკო შენაერთებს შორის, რომელსაც გერმანიის საჰაერო ფლოტის დიდი ძალები უჭერენ მხარს.

○

ბერლინი, 16 მაისი (საქდესი). კომენტარებს უკეთებს რა დასავლეთის ფრონტზე მომხდარ საომარ მოქმედებას, გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ სწერს: „ჰოლანდიაში გერმანიის ჯარი მდინარე შელდის შესართავამდე დაწინაურდა. შიდა ბელგიაში გერმანიის ჯარმა მიაღწია მტრის პოზიციებს არდენის ჩრდილოეთით. სამხრეთ-ბელგიაში გერმანელებმა გადალახეს საფრანგეთის საზღვარი სედანის მახლობლად. არდენის ორივე მხრიდან ჩვენმა ჯარმა დაიპყრო ის ძირითადი პოზიციები, რომლებიც საჭიროა ინგლის-საფრანგეთის ძალების წინააღმდეგ გეგმაზომიერი ოპერაციების გასაშლელად“. აჯამებენ რა ოპერაციების შედეგებს, გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ „გადამწყვეტი ბრძოლები ინგლის-საფრანგეთის ძალებთან ჯერ კიდევ მომავლის საქმეა“. „სავსებით ცხადია,— სწერს გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“,—რომ აქამდე ჯერ კიდევ არ მომხდარა დიდი შეტაკება ინგლის-საფრანგეთის მთავარ ძალებთან. როცა დაიწყება დიდი ბრძოლა, მაშინ, ბუნებრივია, ჩვენი ჯარის წინსვლის ტემპი სხვანაირი იქნება“.

○

ბერლინი, 16 მაისი (საქდესი). გაზეთმა „ფელკიშერ ბეობახტერმა“ დღეს დაბეჭდა პოდპოლკოვნიკ ჰესეს სტატია გერმანიის ჯარის ოპერაციების შესახებ ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში. სტატიის ავტორი სწერს: „გერმანიის ჯარი შეიჭრა საფრანგეთში. ეს მესამე გადამწყვეტი ამბავია ომის პირველი კვირის განმავლობაში. პირველი ამბავი იყო „ჰოლანდიის სიმაგრის“ აღება. მეორე — ბელგიის უმეტესი ნაწილის დაკავება. პირველ პლანზე სდგას ახლა ამოცანა გერმანიის ჯარის სანაპიროზე გასვლისა. იმ მომენტში, როდესაც ჩვენ შევძელით როტერდამში და ჩრდილოეთის ზღვის სხვა პუნქტებში შესვლა, მაშინ ახალი საფრთხე შეიქმნა ინგლისისათვის. ჰოლანდიის არმია, რომელიც მამაცურად იბრძოდა, ცდილობდა ხელი შეეშალა გერმანიის ჯარის წინსვლისათვის, მაგრამ ჰოლანდიის ჯარმა ეს ვერ შესძლო. გერმანიის მიწოლა მეტად ძლიერი იყო. გერმანიის ჯარის ძლიერი მარჯვენა ფლანგის დარტყმა გადამწყვეტი იყო.

მდინარე მაასზე და ალბერტის არხზე გამაგრებული პოზიციების დაკარგვამ და ლიეჟის აღებამ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა ბელგიის არმია. ბელგიის არმიამ დაჰკარგა სიმაგრეების უმნიშვნელოვანესი ხაზები და სწრაფად იხევს უკან. უკანდახევა მნიშვნელოვნად გაძნელებულია ბელგიის ასი ათასობით სამოქალაქო მოსახლეობის უწესრიგო ლტოლვით დასავლეთისაკენ.

შეტევას ნამიურის ჩრდილოეთით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს შეტევა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველჰყოფს გერმანიის ჯარის და გერმანიის ავიაციის წინსვლას ინგლისის ჯარების შესახვედრად. მეორე მხრივ, ეს შეტევა ჰაუძნელებს მტერს განახორციელოს თავისი მუქარა შეტევა დაიწყოს რაინისა და რურის ოლქების წინააღმდეგ. გერმანიის ჯარმა, რომელიც დასავლეთის თავდაცვითი სიმაგრეების წინაპირზე დგას, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, მიუახლოვდა რა მაჟინოს ხაზს, რომლის შესახებ უცხოეთის კორესპონდენტები უკვე სწერენ, რომ ის ხაზიც შესაძლებელია გადალახული იქნესო“.

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 16 მაისი. გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ იუწყება, რომ „ნარვიკის რაიონში გერმანელთა ძალების წინააღმდეგ მოკავშირეთა შეტევა ამჟამად მთელი ძალით სწარმოებს. კარგი საფრენოსნო ამინდი, რაც 14 მაისს იდგა, გერმანელებმა გამოიყენეს იმისათვის, რომ ნარვიკის რაიონში დამხმარე ჯარი გაეგზავნათ. 13 და 14 მაისს გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მოკავშირეთა საზღვაო და სახმელეთო ძალებს, რომლებიც ნარვიკთან იმყოფებიან. როგორც ეტყობა, გერმანელები სასტიკი ბრძოლისათვის ემზადებიან; შეიძლება ითქვას, რომ ნარვიკის ბედის გადამწყვეტი ბრძოლა უკვე დაიწყო“. გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ გადმოგვცემს, რომ მოკავშირეთა სამხედრო გემების მიერ ნარვიკისათვის ყუმბარების დაშენამ ქალაქს დიდი ზარალი მიაყენა.

ნიუ-იორკი, 17 მაისი. ნორტ ამერიკენ ნიუსპეიპერს ალიანს ოლდრიპეის სააგენტო იუწყება, რომ ნარვიკის რაიონში გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში უმთავრესად მონაწილეობენ ნორვეგიის ჯარის ნაწილები. ბიერკვიკთან მომხდარ ბრძოლაში ნაწილობრივ მონაწილეობა მიიღეს ინგლის-საფრანგეთის ჯარებმაც.

გერმანელებმა ნარვიკის ნავსადგურში ჩასძირეს რამდენიმე პატარა გემი და ამრიგად ნარვიკის შესასვლელი გადაუღობეს ღრმა წყალშიდა გემებს.

როგორც სააგენტო აღნიშნავს, ინგლისელებსა და ფრანგებს ისღა დარჩენიათ, რომ იმოქმედონ ავიაციის დახმარებით, რამდენადაც ბარდუფოსში, რომელიც ნარვიკის ჩრდილოეთით 45 მილის მანძილზე მდებარეობს, არის ინგლისის საჰაერო ბაზა. (საქდესი).

გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა საფრანგეთის ქალაქ არასს ბელგიის საზღვრის მახლობლად

პარიზი, 17 მაისი. პარიზში გუშინ საღამოს გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ მთელ ფრონტზე ბრძოლა გრძელდება წინანდელი ძალით. ფრონტის ზოგიერთ უბანზე განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა მოხდა.

საფრანგეთის ავტორიტეტულ სამხედრო წრეებში აცხადებენ, რომ გერმანიის ჯავშნიანი ნაწილები ღრმად შეიჭრნენ საფრანგეთის იმ პოზიციებში, რომლებიც მდებარეობენ მდინარე მაასის მარცხენა ნაპირზე, სედანის ჩრდილოეთ-დასავლეთით.

გაზეთი „ლიბერტე“ იუწყება, რომ გუშინ დილით პარიზში მიღებულ იქნა ზომები პარაშუტისტთა დესანტების შესაძლებელი გადმოსხმის წინააღმდეგ. პარიზს მიმავალი ზოგიერთი გზა დაკეტილია. ამ გზებით მხოლოდ ლტოლვილებს უშვებენ. საავტობუსო მოძრაობა დროებით შეწყვეტილია. (საქდესი).

ინგლისის ლეიბორისტული პარტიის კონფერენციაზე

ლონდონი, 16 მაისი (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 13 მაისს ბორნემუტში გაიხსნა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის კონფერენცია. გუშინ კონფერენციაზე გამოვიდა ფრანგი სოციალისტების ლიდერი ბლიუმი. ტრიბუნაზე მისმა გამოჩენამ მრავალ დელეგატს შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია. საჭირო გახდა რამდენიმე წუთი, რომ დარბაზში წესრიგი აღდგენილიყო. ბლიუმის სიტყვა არაერთხელ იქნა შეწყვეტილი. ერთერთმა დელეგატმა წამოისროლა რეპლიკა: „რატომ უნდა მოვუსმინოთ იმ კაცს, რომელიც კაგულარებთან თანამშრომლობს“. ბლიუმი იცავდა რეაქციულ ღონისძიებებს, რომლებიც საფრანგეთის მთავრობამ მიიღო მუშათა ორგანიზაციებისა და კომპარტიის წინააღმდეგ.

კონფერენციის დღის წესრიგში შეტანილია რეზოლუცია, რომელიც ჰგმობს საფრანგეთის მთავრობის რეაქციულ ღონისძიებებს. მთელმა რიგმა დელეგატებმა მოითხოვეს პრიტის აღდგენა პარტიაში.

პრიტი ესწრებოდა კონფერენციას, მაგრამ მას სიტყვა არ მისცეს. ერთერთმა დელეგატმა, რომელიც პრიტის დასაცავად გამოვიდა, განაცხადა, რომ „ლეიბორისტული პარტიის აღმასკომისათვის, როგორც ეტყობა, არასასურველი არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც დამოუკიდებელი თვალსაზრისი აქვთ“.

ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა მიმართვა კონფერენციის დელეგატებისადმი. მიმართვაში ნათქვამია: „თქვენი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო მოუღოთ პოლიტიკურ დაზავებას“.

მობილიზაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 16 მაისი (საქდესი). ბუდაპეშტის საღამოს ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ოფიციალური კომუნიკე ქალაქებში — კოშიცსა და სეკეშფეხერვარში განლაგებული ორი კორპუსის მობილიზაციის შესახებ. ეს კორპუსები უმთავრესად კომპლექტდება გასაწვევი ასაკის პირებისაგან, რომლებიც ჩეხოსლოვაკიისაგან ჩამოცილებულ ოლქებში ცხოვრობენ და რომელთაც უნგრეთის არმიაში არ უმსახურიათ. კომუნიკე გაწვევას იმით ხსნის, რომ „საჭიროა ახალწვეულნი გაეცნონ უნგრეთის არმიის რაობას და ვითარებას“. კომუნიკე უარჰყოფს სხვადასხვა საშიშარ ხმებს, რომლებსაც ავრცელებენ საზღვარგარეთ უნგრეთში გამოცხადებულ ნაწილობრივ მობილიზაციასთან დაკავშირებით.

ამასთან ერთად გაზეთები აქვეყნებენ რომიდან და პარიზიდან მიღებულ მთელ რიგ დეპეშებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ უნგრეთში გაწვეულია შვიდი ასაკი და რომ საზღვრებთან თავმოყრილია 350 ათასი ჯარისკაცი.

ოფიციალურ კომუნიკეში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

მზადდება ამერიკის ქვეყნების პროტესტი ბელგიასა და ჰოლანდიაში გერმანიის ჯარის შესვლის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 16 მაისი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ურუგვაის წინადადებას, რომ განაცხადონ საერთო პროტესტი „ბელგიასა, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგში გერმანიის შეჭრის“ წინააღმდეგ, შეუერთდნენ: ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, ბოლივია, კოსტარიკა, კუბა, გვატემალა, გაიტი, პანამა, პარაგვაი, პერუ, ვენეცუელა, ბრაზილია, კოლუმბია და მექსიკა.

დაძაბული მდგომარეობა საბერძნეთში

ნიუ-იორკი, 16 მაისი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ათენიდან იუწყება, საბერძნეთის მთავრობამ გასცა განკარგულება, რომ მიღებულ იქნას საზღვრებზე სიფრთხილის საჭირო ღონისძიებანი. სამხედრო მინისტრის მოადგილე პოლკოვნიკი პაპადიმასი იანინის რაიონში ჩავიდა და თვითონ იკისრა შესაძლებელ საგანგებო გარემოებათათვის მომზადების ხელმძღვანელობა. შემდეგ სააგენტო იუწყება, რომ არსებული დაუდასტურებელი ცნობებით, ინგლისი ძალას ატანს საბერძნეთს, რათა მიიღოს ნებართვა — შექმნას საბერძნეთის კუნძულებზე თავისი სამხედრო-საზღვაო ბაზები.

რუზველტის განცხადება

ვაშინგტონი, 15 მაისი (საქდესი). იმის გამო, რომ რუზველტი ახლო მომავალში მიმართავს კონგრესს თხოვნით დამატებით გაიღოს დიდი სახსრები სამხედრო ხარჯებისათვის, ამერიკის პრესა აყენებს საკითხს, თუ რანაირად შესძლებს კონგრესი ამ სახსრების გაღების უზრუნველყოფას, რა გადასახადების შემოღება და რა სესხების გამოშვებაა განზრახული.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს რუზველტმა გუშინ განაცხადა, რომ „მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რანაირად მოხდება შეიარაღებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება. მნიშვნელოვანია ის, რომ არ ჩამოვრჩეთ ყოველგვარი სახის შეიარაღებაში ახლანდელ შეჯიბრებას და გავითვალისწინოთ უკანასკნელი ბრძოლების გამოცდილება“.

„საზღვაო სამინისტრომ, — განაცხადა შემდეგ რუზველტმა, — უნდა გაადიდოს სამხედრო გემების მშენებლობის პროგრამა და შეიტანოს საჭირო ცვლილებანი, გამოცდილების უკანასკნელი მონაცემების თანახმად, რომლებიც ერთგვარ კონსტრუქციულ ცვლილებებს მოითხოვენ. თვითმფრინავები, რომლებიც რამდენიმე ხნის წინათ უახლეს თვითმფრინავებად ითვლებოდნენ, დღეს უკვე მოძველდნენ“.

დასასრულს რუზველტმა განაცხადა, რომ ასიგნებები ძალიან დიდი იქნებაო.

„გელა“

ახალი ქართული ოპერა

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დაკვეთით მთელი რიგი კომპოზიტორები მუშაობენ ახალი ქართული საოპერო ნაწარმოებების შესაქმნელად. ახალ ოპერებს სწერენ კომპოზიტორები ი. გოკიელი, ი. ტუსკია, გ. კილაძე, ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე. უკვე მთლიანად დამთავრებულია და გადაეცა თეატრს კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღი“. დაწერილია და თავის სცენიურ ხორცშესხმას ელიან ოპერები: ქ. მეღვინეთ-უხუცესის „ამირანი“, ლეო ფალიაშვილის „იავნანამ რა ჰქნა“ (გოგებაშვილის ცნობილი მოთხრობის მიხედვით), დ. შვედოვის „თენგიზ“.

16 მაისს ოპერის თეატრში შესდგა კომპოზიტორ ივ. გოკიელის ახალი ოპერის „გელას“ პირველი აქტის მოსმენა. „გელას“ ლიბრეტოს, რომელიც დამუშავებულია რესპუბლიკის სახ. არტისტის შალვა დადიანის და ხელოვნების დამს. მოღვაწის შ. აღსაბაძის მიერ, საფუძვლად უდევს ქართული ლიტერატურის კლასიკოსის აკაკი წერეთლის ისტორიული დრამა „პატარა კახი“. ოპერის მოსმენას დაესწრნენ აკ. წერეთლის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. გ. კიკნაძე და ლიტერატურული, მუსიკალური და არტისტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ოპერის მოსმენის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შალვა დადიანმა, მუსიკის-მცოდნეებმა — ვ. დონაძემ და გ. ჩხიკვაძემ, კომპოზიტორმა ი. ტუსკიამ, რეჟისორმა შ. აღსაბაძემ, კომპოზიტორმა და დირიჟორმა შ. აზმაიფარაშვილმა, საოპერო თეატრის სოლისტმა რესპ. დამს. არტ. დ. ანდღულაძემ, საოპერო თეატრის დირექტორმა ნ. მაისურაძემ. მათ ერთხმად აღნიშნეს ი. გოკიელის ოპერის მაღალი მხატვრული ღირსებები, მისი ემოციური ზეგავლენის ძალა, მუსიკალური ფაქტურის სრული შესატყვისობა აკაკი წერეთლის შესანიშნავ ტექსტთან. კომპოზიტორს კარგად გამოუყენებია და გადაუმუშავებია ხალხური მუსიკალური ფოლკლორი. ოპერის მუსიკა მელოდიური და სასიმღეროა. მშვენივრად ბგერს საგუნდო სიმღერები, ფართო მელოდიად იშლება არიები და დუეტები; ოპერა დიდ გასაქანს აძლევს მომღერლის ხმას.

გადაწყდა ოპერა „გელას“ პირველი აქტი ნაჩვენები იქნას საკონცერტო შესრულებით აკ. წერეთლის საიუბილეო საღამოზე 1940 წლის ივნისში. კომპოზიტორს წინადადება მიეცა ამთავითვე შეუდგეს ამ აქტის დაორკესტრებას.

○

ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრს გადაწყვეტილი აქვს მომავალშიაც მოაწყოს ახალ საოპერო ნაწარმოებთა ასეთი ჩვენება. პირველ რიგში მოსმენილ იქნება ნაწყვეტები კომპოზიტორ ი. ტუსკიას ოპერის — „სამშობლოს“ სამი აქტიდან (ლიბრეტო სსრკ სახ. არტ. აკ. ვასაძისა) და გ. კილაძის ოპერიდან—„უშიშარი რაინდი“ (ლადო კეცხოველი). უკანასკნელის ლიბრეტო დამუშავებულია შ. დადიანისა და შ. აღსაბაძის მიერ.

„სამშობლოს“ ნაწყვეტები გადაცემული იქნება რადიოთი 25 მაისს. ნაწყვეტებს შეასრულებენ რადიოკომიტეტის ორკესტრი და გუნდი და საოპერო თეატრის სოლისტები დ. ანდღულაძე, დ. გამრეკელი, ე. გოსტენინა, შ. ცირღილაძე და ბ. გოგიჩაძე.

გრაფიკულ ილუსტრაციების სრულიად-საკავშირო გამოფენა

მიმდინარე წლის სექტემბერში მოსკოვში გაიხსნება სრულიად-საკავშირო გრაფიკული გამოფენა ილუსტრაციებისა, რომლებიც ასახავენ ცალკე მომენტებს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან“.

ქართველი მხატვრები გამოფენისათვის ამზადებენ ნაწარმოებებს შემდეგ თემებზე: „1913 წლის კრაკოვის კონფერენცია“, „ამხანაგ სტალინის პორტრეტი“ (1905 წ.), „ამხანაგი სტალინი სიტყვას ამბობს დისპუტზე ჭიათურაში“, „ლენინისა და სტალინის პირველი შეხვედრა ტამერფორსში“, „ამხანაგი სტალინი, კეცხოველი და წულუკიძე მესამე „დასის“ კრებაზე“, „1905 წელი სოფლად“ და სხვ.

მაისის დამლევს საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირში შესდგება გამოფენისათვის შესრულებულ გრაფიკულ ნამუშევართა ესკიზების დათვალიერება. (საქდესი).

შენდება ბათუმის ციტრუსოვანი კულტურების კომბინატის მეორე რიგი

ბათუმი, (საქდესი). ბათუმში შენდება ჩვენს ქვეყანაში ციტრუსოვან კულტურათა ერთადერთი მძლავრი კომბინატის მშენებლობის მეორე რიგი.

კომბინატის პირველი რიგი, რომელიც საკომპოტე საამქროსა და მის დამხმარე საწარმოებს შეიცავს, შარშან ამუშავდა.

ამჟამად შენდება მურაბის დამამზადებელი საამქრო და სპეციალური მაცივარი ციტრუსოვან ნაყოფთა სწრაფი გაყინვისათვის. ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის სეზონის დასაწყისისათვის კომბინატი, კომპოტების გარდა გამოუშვებს აგრეთვე მურაბას, ჯემსა და ციტრუსოვან ნაყოფთა წვენს.

კომბინატის მშენებლობა დამთავრდება 1941 წელს.

გ. ლეონიძის პოემის საჯარო განხილვა

19 მაისს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის კლუბში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია, სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები და პლეხანოვის კლუბის დირექცია აწყობენ ორდენოსანი პოეტის გიორგი ლეონიძის ეპოპეის „სტალინის“ პირველი ნაწილის „ბელადის ბავშვობისა და ყრმობის“ საჯარო განხილვას.

განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, კრიტიკოსები და წარმოების სტახანოველები. ნაწყვეტებს პოემიდან წაიკითხავენ ავტორი და რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახ. თეატრების მსახიობები.

ფეხბურთი

„სპარტაკი“ — მოსკოვი

„ლოკომოტივი“ — თბილისი

გუშინ თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკის“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

შეჯიბრება მეტად დაძაბულ და საინტერესო სპორტულ სანახაობას წარმოადგენდა.

ამ მატჩს „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები, როგორც სჩანს, განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდნენ. მათ თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ მსაჯ ანიჩენკოს (ხარკოვი) არაობიექტური სჯის შედეგად, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, —„სპარტაკელებმა“ თავი დააღწიეს დამარცხებას.

მსაჯმა სტადიონიდან უმიზეზოდ გააძევა „ლოკომოტივის“ ძირითადი მოთამაშე ნ. ჩხატარაშვილი, ხშირად „ვერ ამჩნევდა“ სპარტაკის მოთამაშეთა უხეშობას და უწესო თამაშს, რომლის მიხედვითაც თბილისელებს „პენალტის“ დარტყმის უფლება უნდა მისცემოდათ.

თამაშის დამთავრებამდე ორი წუთი აკლდა, როდესაც მოსკოველებმა „ლოკომოტივის“ კარში წესის დარღვევით გაიტანეს ბურთი, რომელიც მსაჯს არ უნდა ჩაეთვალა,—მაგრამ ანიჩენკომ ის კანონიერად სცნო.

ამრიგად მატჩი დამთავრდა „სპარტაკის“ გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

საჭიროა ეს საკითხი გახდეს სათანადო ორგანოების მსჯელობის საგნად.

თ. ფურცელაძე

თბილისის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა საქალაქო შეკრება

19 მაისს, მშენებელთა კლუბში მოწვეულია ქ. თბილისის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა საქალაქო შეკრება.

შეკრებაზე, კომუნალური მეურნეობის ტრესტებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგებზე მოხსენებებით გამოვლენ თბილისის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის დირექტორები.

შეკრებაზე მოხდება ამ შეჯიბრებაში მოწინავე ტრესტისათვის გარდამავალი დროშის გადაცემა.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1538376, გაცემული სილოვან მამანტის-ძე ხუხუას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1531561, გაცემული აქსენტი ჯათუს-ძე ტყებუჩავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 3073840, გაცემული ამბროსი გიგოს-ძე დოლაკიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „ტრავიატა“, **რუსთაველის სახელობის** — „გრაფის ქვრივი“, **მარჯანიშვილის სახელობის** — „ყვარყვარე თუთაბერი“, **მუსკომედია** — „აყვავებული ბაღი“, **გრიბოედოვის სახელობის** — „საშინელი სამსჯავრო“.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **ოქტომბერი** — „ცეცხლის წლები“, „პირველი მაისი მოსკოვში“, **დამკვრელი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **კომკავშირელი** — „კენდლლიარ“, **ლუქსემბურგის სახ.** — „სოროჩინის ბაზრობა“, **26 კომ. სახ.** — „ცხარე დღეები“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი“, კონცერტი და საღამო სეირნობა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

---

18 მაისს	ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურის და დასვენების ცენტრალური პარკი სადღესასწაულო სეირნობა				18 მაისს
საბავშვო რკინიგზა და კარუსელი	მასობრივი თამაშობანი და ცეკვები	საზაფხულო კინო-თეატრი	დანსინგი ცეკვა ჯაზ-ორკესტრი	საჰაერო საცირკო აქტი — რუდიფი —	დიდ ესტრადაზე კონცერტი დამსახ. არტ. ორდენოსანის ამხ. ლადო კავსაძის მონაწილეობით.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ა. წ. 29 მაისს, საღამოს 8 საათზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) აუდ. № 103 ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **ალექსანდრე ვასილის-ძე გორგაძე** დაიცავს დისერტაციას პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის (ისტორიის სწავლების მეთოდიკაში) სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„თვალსაჩინოება სამოქალაქო ისტორიის სწავლებაში“.**

ოფიციალური ოპონენტები: დოქტორი, პროფ. გ. ი. ნათაძე
დოც. დ. ლორთქიფანიძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი—დ. ჟიფშიძე.
150

მამა ნესტორი, დედა ნინა, ძმები საშა, გიგლა, დები ტატიანა, ვენერა კახიანები, სიძე ვალოდია და დისშვილი ლილი კაკაბაძეები იუწყებიან
ნადია ქახიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 მაისს ქ. სამტრედიაში კუიბიშევის ქუჩა № 64.

ბიძა გრიგოლ, ბიცოლა ვერა გუგენავები, ბიძაშვილები ალექსი, დავით ცოლშვილით, ლენა, ჯიბო, მაგლენა და ქეთო იუწყებიან
გუგუშა (მალაქია) იასონის-ძე კალანდარიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19/V ცხაკაიაში. 6384

საქ. სსრ. შინსახკომის საპატიმროთა განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან რაფიელ არტემის-ძე კვირკველიის დედის
მატრონე (ფედოსი) გლახოს-ასულ კვირკველიას
გარდაცვალებას. 6388

ქმარი იოსებ, მშობლები ფედოსია, მიხეილ მანაგაძე იუწყებიან
ნინო მიხეილის-ასულ ვაჩაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19/V 8 ს. გამოსვენება 20/V 5 ს. ლერმონტოვის, 25, პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 6390

მშობლები ვალერიან, სერიკო, დები ლილი, ჟულიეტა ძაძამიძეები, ბაბუა ზაალ, ბებია დარო, ბიძა შალვა, ბიცოლა მერი ოზაშვილები იუწყებიან
პატარა ელგუჯა (გუჯიკო) ძაძამიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 19/V ძერჟინსკის 34.

დედა ნინო, ძმები შოთა, სერგო, გადუნა, ომარი და გუგული, რძალი ლიუსია შვილით ჯონიკოთი მანტკავები იუწყებიან
ლიუდმილას (ლუდიკო)
გარდაცვალებას. გამოსვენება 18/V 4 ს. ტოლსტოის, 19, კუკიის სასაფლაოზე. 6380

სტუდენტთა ქალაქის ფაბრიკა-სამზარეულოს მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ზ. ი. ბენდიაშვილის შვილის
კოტე ბენდიაშვილის
გარდაცვალებას. 6366

ი. კობიძე, ე. ქანთარია, კ. ბუტკოვსკაია, ნ. ლომთათიძე, გ. მარქარიანი, თ. ბოჭორიშვილი, გ. აკოფოვა, ა. მახარაშვილი, ნ. ქარჩავაძე იუწყებიან მეგობრის ზინას მეუღლის
ლეონტი რევიშვილის
გარდაცვალებას. 169

მ. ჩუბინიძე, ვ. ურიგაშვილი, ალ. ჩახუნაშვილი, ლ. აგულოვი, ვლ. კლიშნიჩკო, გ. ბირკაია, რ. ხუციშვილი, ქ. წივწივაძე, ზ. მუჩაევა, გ. ტატიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. დათიკო ჭიჭინაძეს მისი დედის
სიდონია ჭიჭინაძის
გარდაცვალების გამო.

ვ. თოფურია, ა. ბოჭორიშვილი, ს. ჯიქია, შ. ძიძიგური, გ. თვალთვაძე იუწყებიან ჯვები როგავას მამის
ბესარიონ როგავას
გარდაცვალებას. 6393

საქ. კ. პ. (ბ) ცკ-თან არსებული პარტკურსების ადმინისტრაცია და ადგილკომი იუწყებიან თანამშრომელ
მარო ივანეს-ასულ ვართანოვას
გარდაცვალებას. 6386

ცოლი ქრისტინე, შვილები საშა, თამარ, პარმენ, აკაკი, ვარლამ იუწყებიან
კონსტანტინე ბახუს-ძე სიგუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ნახუნაოში (გეგეჭკორის რ.). 6387

საქმიმ ტანვარჯიშის № 1 და 2 დისპანსერის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან ექიმ მათიკო შატბერაშვილის მამის
ალექსანდრე სტეფანეს-ძე შატბერაშვილის
გარდაცვალებას. 6389

თვალის სნეულებათა ინსტიტუტის და კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ინსტიტუტის ექიმ დიმიტრი თადუმაძის ძმის
იოსებ ანტონის-ძე თადუმაძის
გარდაცვალებას. 6357

ვ. ცაგურია, გ. მაისურაძე, შ. იოსავა, გ. ბაკურაძე, გ. ზეთეიშვილი, გ. დოლიძე, ა. დემეტრაშვილი, ნ. მარდალეიშვილი, დ. დოთიაშვილი, ვ. ძიმისტარაშვილი, კარტოზია იუწყებიან რაფიელ კვირკველიას დედის
მატრონა (ფედოსი) გლახოს-ასულ კვირკველიას
გარდაცვალებას. 6397

მ. ჩუბინიძე, გ. გოჩაშვილი, ც. სიხარულიძე, ნ. გალუსტოვი ოჯახებით თანაუგრძნობენ ამხ. დავით ჭიჭინაძეს მისი დედის
სიდონია გიორგის-ასულ ჭიჭინაძის
გარდაცვალების გამო.

საქ. სსრ შინსახკომის საარქივო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან სახკომისრის მოადგილის ამხ. რაფიელ კვირკველიას დედის
მატრონა (ფედოსი) გლახოს-ასულ კვირკველიას
გარდაცვალებას. 6391

სიმონ გრიშკაშვილი, გიორგი ფანიაშვილი, მიშა ჯაფარიძე, სერგო ვართანოვი იუწყებიან ამხანაგ რაფო კვირკველიას დედის
მატრონა (ფედოსი) გლახოს-ასულ კვირკველიას
გარდაცვალებას. 6397

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე რედაქციის პ/მ. მდივნის ალ. სიგუას მამის
კონსტანტინე ბახუს-ძე სიგუას
გარდაცვალების გამო.

საქ. შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. რაფიელ კვირკველიას საყვარელი დედის
მატრონე (ფედოსი) გლახოს-ასულ კვირკველიას
გარდაცვალების გამო. 6382

ვერა, შაქრო თაბორიძეები, ვახტანგ მახალდიანი, ნატალია ბიჭაშვილი, დარია ახალშენიშვილი იუწყებიან კაპიტონ როგავას მამის
ბესარიონ ივანეს-ძე როგავას
გარდაცვალებას. 6379

ჟორა ბურკაძე, მიშა ნიჟარაძე, პორფილე ჩახავა, ვალიკო კეკელიძე, ჟორა კორძაია იუწყებიან დაბა კასპის საბჭოს თავმჯდომარის
ირაკლი კიკნაძის
გარდაცვალებას. 6398

ა. ხვედელიძე, ე. ლოლაძე, შ. გუმბერიძე, გ. მამაცოვი, ხოხიაშვილი, მერაბიშვილი, მაღლაფერიძე, ე. ძარქარაშვილი იუწყებიან კასპის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის
ირაკლი კიკნაძის
გარდაცვალებას. 6337

მარელისის გრძელ ავეჯეულობის ფაბრიკის დირექცია, პარტკომი და მუშათა საფაბრიკო კომიტეტი იუწყებიან
ლეონტი რევიშვილის
გარდაცვალებას, 6375

ქვისლები ა. სამსონია, ნ. კვინტრაძე, ლ. კოჩუაშვილი ცოლშვილით, ცოლისძმა ა. კალაძე ცოლშვილით იუწყებიან, რომ 18/V 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
კოსტა იაკობის-ძე ინჯიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 6392

საქ. შინსახკომის გაერთიანებული სახანძრო სკოლის პედ. შემადგენლობა შაფაქიძე, გორგაძე, კანდელაკი, დანელია, ქსოვრელი იუწყებიან სკოლის უფროსის მემმარიშვილის დისწულის
ლიუდმილა სოლომონის-ასულ მანტკავას
გარდაცვალებას. 6370

ვ. რიაზანცევი, ვ. ჭყონიძე, მ. ნიკოლეიშვილი, დ. ჩიქოვანი, ვ. სუხიშვილი, ვ. კალანდაძე, ი. კლობუკოვი, ვ. ტორაძე, მ. კაშიბაძე, ო. ბახტაძე, დ. შარიქაძე, ვ. ყიფშიძე, დ. კამკამიძე იუწყებიან
ლეონტი რევიშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლებულის ოჯახს. 6376

მშობლები ზაქარია, რახილ, მამიდა ვასასი, ძმები შურა, ვიქტორი იუწყებიან
კოტიკო ბენდიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 18/V 3 ს. კიროვის, 4. კუკიის სასაფლაოზე. 6377

ბიძები ესეი, ფილიმონ, ეზეკია, შალვა, ეფრემ კახიანები ცოლშვილით, დეიდა მარიამ ხორიაშვილისა ქმარშვილით, პავლე ახვლედიანი შვილებით იუწყებიან
ვენედიქტე თათეიშვილის
გარდაცვალებას. 6378

მეუღლე ბესარიონ, შვილები ბაბილინა, ნინო, სიძე დიმიტრი ნიჟარაძე, შვილიშვილები თამარ, თენგიზ, თათუშა, ბესო, ანტიკა, რძალი ნინო ნიჟარაძე იუწყებიან
ანნე ჭოლოშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 21/V, ხონის გზატკეცილი № 10. 6400

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—Р1 65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—186